# საქართველო

სპორტული გაზეთი შაბათი 13 სექტემბერი 2008 №211 (3435) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ექტორ რაულ კუპერი ქართულ იუბილეზე

## არგენტინელმა უნდა ნახოს, სად და როგორ ეზრდებიან ქართველი შეგირდები



[illegible] ფოტო




[illegible] ფოტო

დღეს საქართველოს მე-20 ეროვნული ჩემპიონატი იწყება უმაღლეს ლიგაში და ამ ამბავს ერთი უცხო თვალიც დაესწრება — საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი ექტორ რაულ კუპერი პირველად ნახავს ჩვენს ჩემპიონატს.

ეს ჩემპიონატი საიუბილეოსთან ერთად უპრეცედენტოცაა — აქამდე თერთმეტ გუნდს სამ წრედ არასოდეს უთამაშია. გუნდების რაოდენობის კენტობა კი, გეცოდინებათ, თბილისის „ამერის“ „ბრალია“ — ეს გუნდი თავისი ნებით ჩავიდა პირველ ლიგაში და პროფლიგასაც საფიქრალი გაუჩინა. საბოლოოდ, თერთმეტი გუნდი, სამი წრე და ცხრათვიანი მარათონი... იწყება!

# ქართველები სლოვაკურ წყალტუბოში

## ლუქსემბურგი და ირლანდია უნდა გასამდეს!

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B დივიზიონი. III წრე. 13 სექტემბერი. 20 საათი

### სლოვაკეთი — საქართველო

დღეს საქართველოს ნაკრებს მორიგი გამოცდა აქვს ჩასაბარებელი — ამჯერად სლოვაკეთში, ამ ქვეყნის კერკეტ ნაკრებთან, რომელმაც გასულ ოთხშაბათს ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი ფავორიტი შვედეთი კინაღამ იმსხვერპლა: ოდენ ქულა დათმო.

ეჭვი არაა, სლოვაკები ჩვენს ნაკრებსაც გაუმართავენ ბრძოლას, მაგრამ რამდენად წარმატებით მოახერხებენ იგორ კოკოშკოვის გაწვრთნილი ქართველების დამარცხებას, ეს დღეს საღამოს გამოჩნდება.

ქართველები ირლანდიური ალაფით ჩავიდნენ სლოვაკეთის პროვინციულ ქალაქ ნოვი ვსეში. კოკოშკოვის გუნდმა დუბლინში მშრალზე დატოვა მოსაგებად მომართული კელტები და ისეთივე შემართება ნოვი ვსეშიც რომ გამოიჩინოს, მორიგ გამარჯვებას წინ არაფერი დაუდგება.

და რატომ იმართება ასეთი დონის სანაკრებო შეხვედრა სლოვაკურ პროვინციაში? ეს საქართველოში მომხდარი არეულობის ბრალია. ქართველებს დღეს თბილისში უნდა ემასპინძლათ სლოვაკებისთვის, მაგრამ აქაურმა ომიანობამ ევროპული კალათბურთის მამებს ეს შეხვედრაც მეტოქე ქვეყანაში გადაატანინა. სლოვაკები საქართველოში სათამაშოდ ემზადებოდნენ და თავიანთ მოწინავე სპორტულ არენებზე სხვა ღონისძიებები დაიგეგმა. ამიტომაც, დღევანდელი შეხვედრა წყალტუბოს კალიბრის დაბა ნოვი ვსეში გაიმართება და ასე ამბობენ, დარბაზი ისე პატარაა, ტრიბუნაზე მჯდომმა მაყურებელმა ხელები რომ გამოწიოს, ბურთს წაეპოტინებაო...

მატჩი თბილისის დროით, 20 საათზე დაიწყება და მას არც ერთი ქართული ტელევიზია არ უჩვენებს...





გუშინ გაცნობეთ, რომ ლევან ცქიტიშვილი თბილისის „ლოკომოტივთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერდა ხელს და ასეც მოხდა. ცქიტიშვილი გასული სეზონის მეორე წრიდან შეუერთდა გიორგი კიკნაძის გუნდს და გასავარდნად განწირული „ლოკომოტივი“ წუმპიდან რომ ამოძვრა, მისი დამსახურებაცაა. დღეს „ლოკომოტივი“ „მიხეილ მესხზე“ ახალციხის „მესხეთს“ დაუპირისპირდება, ცქიტიშვილს კი გუშინ ვესაუბრეთ...

# ნაკრებს კუპერი უკვე ეტყობა

— მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და „ლოკომოტივთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. ამ ეტაპზე საქართველოში თამაში ვამჯობინე.

— ცოტა ხნის წინ ტრავმა გქონდა და საბოლოოდ მოიშუშე?

— უკვე ჯანმრთელად ვარ და „მესხეთთან“ სათამაშოდ ვემზადები.

— „ლოკომოტივში“ საკმაოდ კარგი კონტინგენტი შეიკრიბა...

— ეს თამაშით უნდა დავამტკიცოთ.

— კლუბის ხელმძღვანელობამ რა მიზანი დაგისახათ?

— კონკრეტულად არ თქმულა, ისე კი, რაც შეიძლება, ბევრი ქულა უნდა ავიღოთ.

— კლაუს ტოპმიოლერის დროს საქართველოს ნაკრების წევრი იყავი და ალბათ ფიქრობ ეროვნულ გუნდში დაბრუნებაზე...

— ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. ვნახოთ, რა იქნება...

— ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა შესარჩევი ციკლი ახალი მთავარი მწვრთნელით დაიწყო და ორ თამაშში ვერცერთი ქულა ვერ ავიღეთ...

— ძალიან ცუდია, რომ წაგებებით დავიწყეთ, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა ამ მატჩებში გაცილებით გააზრებული ფეხბურთი ითამაშა, ვიდრე ადრე თამაშობდა.

— კერძოდ?

— დალაგებულად თამაშობდნენ, კუპერის გუნდი მეორე ტაიმში გაცილებით კარგად თამაშობს, რაც მწვრთნელის კლასზე მიგვანიშნებს.

**ნუკრი ლოლაძე**

### ურუგვაი

ბორსოდი ლიგა

დებრეცენი 2:2 ჰალადაში

### გერმანია

ბუნდესლიგა

აინტრახტი — კარლსრუე გადაიდო

II ბუნდესლიგა

ალემანია 1:0 ინგოლშტადტი

კაიზერსლაუტერნი 4:1 ზტ პაული

ობერჰაუზენი 1:3 ალენი

III ბუნდესლიგა

ვერდერი (მ) 0:1 ემდენი

### იტალია

სერა B

პიაჩენცა 1:1 ლივორნო

### საფრანგეთი

II დივიზიონი

ბასტია 2:2 ამიენი

ბრესტი 1:2 აიაჩო

შატორუ 1:1 გენგამი

კლერმონი 2:1 ტრუა

დიჟონი 1:0 მონპელიე

ნიმი 0:1 ტუარი

რეიმსი 1:1 ბულონი

სედანი 2:2 სტრასბური

ვანი 2:0 ანჟერი

III დივიზიონი

კალაისი 1:1 ლოუჰანსი

ნიორი 3:3 შერბური

### პოლონეთი

I ლიგა

რუხი 2:0 კრაკოვია

ლოძი 1:0 იაგელონია

II ლიგა

ზაგლებიე (ლ) 2:0 ჟნიჩი

### უელსი

I ლიგა

ეარბასი 0:3 პორტმადოგი

TNS 6:0 კაერნაფონი

### ჰოლანდია

I დივიზიონი

ჰერენვენი 2:2 ჰერაკლესი

II დივიზიონი

ტელსტარი 1:2 ვალვაიკი

ემენი 0:2 ეძსელსიორი

ჰელმონდი 4:1 კამბური

იგლსი 2:2 ეინდჰოვენი

აპელდორნი 2:2 ომნივოლდი

ოსი 3:1 ზვოლე

სიტარდი 1:2 ჰაარლემი

ვენლო 2:0 დენ ბოსხი

დორდრეხტი 2:3 ვეენდამი

როზენდალი 1:1 მაასტრიხტი

### ირლანდია

პრემიერდივიზიონი

ფინ ჰარპსი 1:3 დროჰედა

I დივიზიონი

ლიმერიკი 1:2 შელბურნი

უოტერფორდი 1:1 მონაგანი

ასოციაციის თასი

გალვაი 1:1 ბრეი

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა

გოსაუ 0:1 კონკორდია

### ჩეხეთი

II ლიგა

ვიტკოვიცე 1:0 ბოჰემიანსი

მოსტი 3:2 ჰ. კრალოვე

დუკლა 3:0 უსტი

ჟიჰლავა 3:2 კარვინა

### რუმინეთი

I ლიგა

ბისტრიცა 1:2 კლუჟი

ოტოპენი 1:2 არჯეში

### ბულგარეთი

ვიშალიგა

ლევსკი 3:0 ჩერნო მორე

### ინგლისი

I ლიგა

ჰარტლპული 4:1 ჩელტენემი

საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. I ტური

# დღეს საქართველოს ჩემპიონატი გაიხსნება

ზუგდიდი. 13 სექტემბერი. 16 საათი. გ. თუთბერიძე

**მგლები — სიონი**

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ზ. ჯვარიძე, კ. გაბრიაძე; პ. დოგრაშვილი

ბორჯომი. 13 სექტემბერი. 16 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი

**ბორჯომი — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ბ. ჭიჭინაძე, შ. ქუხილავა; ი. ურუშაძე

თბილისი. 13 სექტემბერი. 16 საათი. მ. მესხი

**ლოკომოტივი — მესხეთი**

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; ი. კაკაბაძე, ი. მაჩიტაძე; კ. ჭაჭუა

რუსთავი. 14 სექტემბერი. 16 საათი. ფოლადი

**ოლიმპი — ზესტაფონი**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე; ხ. გაგნიძე

თბილისი. 14 სექტემბერი. 16 საათი. ამერი

**გაგრა — დინამო**

მსაჯები: ლ. სილაგავა; ზ. მენთეშაშვილი, კ. ტეფნაძე; ვ. გუმბერიძე

*დისკვალიფიცირებულნი: ფოფხაძე (ლოკომოტივი); კვანტალიანი (გაგრა)*

**დღეს** 13 სექტემბერია, გადაუჭარბებლად რომ ვთქვათ, ქართული ფეხბურთისთვის განსაკუთრებული თარიღი...

დღეს, 13 სექტემბერს, საქართველოს საიუბილეო, მე-20 ჩემპიონატი გვეწყება, ევროპაში ყველაზე გვიანი და თავისი ფორმატით ყველასგან გამორჩეული, როგორც მთლიანად ჩვენი ფეხბურთი...

ეს ჩემპიონატი, წესითა და რიგით, აგვისტოში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ფეხბურთის ნაცვლად რაც დაიწყო, ყველამ კარგად იცით; ფეხბურთისთვის, აბა, ვის ცხელოდა, ვის ეფეხბურთებოდა — ომი და ერთი უბედურება, ქაოსი და სრული გაურკვევლობა... მერე, დაძაბული ვითარება ცოტა რომ მიწყნარდა და ხალხმა თვალებში გამოიხედა, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამაც თქვა, ჩემპიონატს 13-ში დავიწყებთო და აჰა, ეს 13-იც დადგა. ცხადია, პროფლიგამ, ამგვარი გადაწყვეტილება ქვეყანაში შექმნილი ფორსმაჟორული ვითარებიდან გამომდინარე მიიღო, თუმცა უფრო ადრე, დაახლოებით ორი თვის წინ, ერთი მოულოდნელი სიტყვაც თქვა — მომავალი ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა 11-გუნდიანი იქნება და გათამაშება სამ წრედ ჩატარდებაო.

ჩემპიონატის ამგვარ სისტემას უპრეცედენტოც კი ეთქმის — ვერ ვიხსენებთ ჩემპიონატს, სადაც გუნდების რაოდენობა კენტი იყოს. არადა, ამ ამბავს სულ მარტივი ახსნა აქვს — თბილისურმა „ამერმა“ უმაღლეს ლიგაში მონაწილეობაზე უარი თქვა, საკუთარი სურვილით პირველ ლიგას მიაშურა და რაკი პროფლიგამ „ამერის“ დარი გაქანებისა და შესაძლებლობების სხვა გუნდი ვერ ნახა, უმაღლესი ლიგაც ნაკლული დატოვა. უძლიერესთა შორის ხომ ისედაც არიან შეჭირვებულები და კიდევ ერთი წყალწაღებულის დამატებას რა აზრი ჰქონდა?!

მოკლედ, უმაღლეს ლიგაში 11 გუნდი დარჩა და ახლა ისინი გაარკვევენ საჩემპიონატო ამბებს. ტურში, რომელიც მეტწილად ორ დღეზეა გადანაწილებული, ერთი გუნდი დაისვენებს და სულ ხუთი თამაშის ნახვა მოგვიწევს.

ვნახავთ უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „გაგრას“, რომელიც რამდენიმე სეზონი ცდილობდა უძლიერესების მარაქაში გარევას, მაგრამ ეს მხოლოდ ამ ზაფხულს მოახერხა. დანარჩენი ათი გუნდიდან შვიდი უმაღლეს ლიგაში მრავალნაცადი გუნდია, ხოლო ახალციხის „მესხეთი“, ზუგდიდის „მგლები“ და ცხინვალის „სპარტაკი“ უძლიერესთა შორის სულ თითო სეზონს ითვლიან და „გაგრასთან“ ერთად ალბათ სწორედ ესენი იბრძოლებენ ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად.

აი, პირველობისთვის კი წლევანდელს ამბავი იქნება, აქამდე ალბათ არნახული. ჩამოთვალოთ: ჩემპიონი „დინამო“, თასის მფლობელი „ზესტაფონი“, შარშანდელი ჩემპიონი „ოლიმპი“, საკმაოდ მოღონიერებული „სიონი“ და თითქმის ყოველთვის სამეულში მყოფი „ვიტ ჯორჯია“. ხუთივე გუნდი თავისებურად იქადნება და ჩემპიონობაზე ფიქრობს. ხუთივეს თავისი წილი ამბიცია აქვს და ვნახოთ, რომელი რისი მაქნისი იქნება.

საწყის ტურებში არა, მაგრამ პირველი წრის შემდეგ კი ნაღდად უნდა გამოჩნდეს საჩემპიონო შანსები.

დღეს კი სახეცვლილი და საიუბილეო ჩემპიონატის პირველი ტური იწყება და ხვალ მთავრდება.

სადღეისო შეხვედრებიდან რომელიმეს გამორჩევა არ ეგების — ზუგდიდშიც, ბორჯომშიც და თბილისშიც რთული და დაძაბული ორთაბრძოლები იქნება, აი, ხვალ კი... რუსთავში „ოლიმპი“ „ზესტაფონს“ უმასპინძლებს, ხოლო დებიუტანტი „გაგრა“ გლდანში, „ამერის“ სტადიონზე ჩემპიონ „დინამოს“ მიიღებს.

სერიოზული მატჩების მოლოდინში ვართ და იმედია, ქომაგობაც არ მოიწყენს. ისე, ქომაგების საყურადღებოდ ვიტყვით, რომ გორის სტადიონის გარდა, სადაც თავის საშინაო შეხვედრებს „ვიტ ჯორჯია“ გამართავს, ყველა სტადიონზე ბილეთები გაიყიდება და უკლებლივ ყველგან ფასი 2 ლარი იქნება. ეს თანხა კი, პროფლიგის გადაწყვეტილებით, მთლიანად ომიანობის დროს დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადაირიცხება.

აქვე დავამატებთ, რომ საქართველოს ჩემპიონატისა და თასის მატჩების ტელეჩვენების უფლებათა მფლობელი მედია-კომპანია „კოლხიდა“ წლეულს ერთი-ორად გაზრდის პირდაპირ რეპორტაჟთა რაოდენობას და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით დაახლოებით 50-მდე მატჩს გვიჩვენებს.

პირველ ტურში „ლოკომოტივი“ — „მესხეთის“ და „ოლიმპი“ — „ზესტაფონის“ ჩვენება იგეგმება.

**კობა ინასარიძე**




გურამ მურადაშვილის ფოტო

# საქართველოს XX ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. განაცხადები

დღეიდან საქართველოს მე-20 ეროვნული ჩემპიონატი იწყება უმაღლეს ლიგაში.
ამ გვერდზე კი თერთმეტივე გუნდის საჩემპიონატო განაცხადს გაეცნობით.
გეცოდინებათ, სატრანსფერო ფანჯარა 13 სექტემბრამდე იყო ღია და კლუბებს წუხელ გვიანობამდე შეეძლოთ ამა თუ იმ ფეხბურთელის განაცხადში შეყვანა.
ამის გათვალისწინებით, დღევანდელ „სარბიელში" დაბეჭდილი განაცხადები არასრულია. მაგალითად, თბილისის „ლოკომოტივს" გუშინდლამდე არ ჰყავდა შემადგენლობაში ჩაწერილი ლევან ცქიტიშვილი, ბოლნისის „სიონს" კი — სანდრო იაშვილი.
ასეთი შემთხვევები ალბათ მეტიც იქნებოდა და საბოლოოდ რომელმა კლუბმა რა მოახერხა, პირველი ტურის მატჩები უკეთ გამოაჩენს.
და ერთიც: ზოგ კლუბს რამდენიმე ფეხბურთელი ფარმ-კლუბის განაცხადში ჰყავს შეყვანილი და არ იფიქროთ, თითქოს მათ გუნდები დატოვეს. შეგვიძლია, ამის მაგალითებიც გითხრათ: ირაკლი კლიმიაშვილი თბილისის „ვიტ ჯორჯიას" განაცხადში არ არის, ხოლო როინ კვასხვაძე — „ზესტაფონის" განაცხადში...

## „ვიტ ჯორჯია" თბილისი

| | | |
|---|---|---|
| გრიგოლ ბედიაშვილი | 07.02.80 | 186/81 |
| შოთა ლურბელეიშვილი | 12.02.85 | 188/81 |
| დავით ლომაია | 18.05.85 | 184/74 |
| ალექსანდრე კვახაძე | 17.08.84 | 185/75 |
| ლუკა რაზმაძე | 30.12.83 | 184/74 |
| გიორგი მელქაძე | 24.11.84 | 175/64 |
| გიორგი დათუნაიშვილი | 09.02.85 | 181/70 |
| ვასილ ლუჭაშვილი | 25.01.85 | 189/75 |
| ლაშა ჯაფარიძე | 16.04.85 | 172/70 |
| გიორგი ბერიაშვილი | 10.09.86 | 172/67 |
| გიგა ბეჭვაია | 29.08.86 | 180/77 |
| არდალიონ მიქაბერიძე | 02.06.86 | 193/88 |
| ამირან ყველაშვილი | 10.02.85 | 184/82 |

*მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე*

## „ბაგრა"

| | | |
|---|---|---|
| დავით მამარდაშვილი | 17.10.77 | 189/86 |
| რევაზ თევდორაძე | 14.02.88 | 191/85 |
| ზაზა ქაჯაია | 21.04.88 | 178/74 |
| გიორგი კვანტალიანი | 06.08.89 | 178/79 |
| ნიკა მგელაძე | 20.12.85 | 185/79 |
| გიორგი ტყეშელაშვილი | 24.08.85 | 185/76 |
| დავით გიგაური | 15.01.86 | 184/79 |
| გიორგი გაბედავა | 03.10.89 | 178/81 |
| ჯემალ გაბუნია | 09.11.89 | 177/75 |
| თამაზ ჩარგეიშვილი | 12.06.89 | 177/76 |
| ზამორა დათუნაშვილი | 31.07.88 | 177/75 |
| ლევან შარიქაძე | 16.07.89 | 174/67 |
| ზვიად მეტრეველი | 28.11.85 | 185/75 |
| ზურაბ ძაგანია | 20.07.89 | 181/76 |
| გიორგი ცხადაია | 23.04.88 | 182/72 |

*მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე*

## „ოლიმპი" რუსთავი

| | | |
|---|---|---|
| მირზა მერლანი | 05.10.80 | 184/76 |
| გიორგი სეთურიძე | 01.04.85 | 174/64 |
| გაგა ჩხეტიანი | 24.06.83 | 185/72 |
| გიორგი ონიანი | 23.11.83 | 185/71 |
| გიორგი გაბიდაური | 06.12.79 | 180/68 |
| დენის დობროვოლსკი | 10.10.85 | 178/70 |
| აკაკი მიკუჩაძე | 30.11.80 | 183/70 |
| შოთა ბაბუნაშვილი | 17.11.80 | 176/67 |
| ერნესტ აკუაკაგა | 16.09.85 | 183/71 |
| გიორგი მეგრელაძე | 21.07.78 | 175/76 |
| რევაზ გეწაძე | 11.01.85 | 174/63 |
| გიორგი რეხვიაშვილი | 21.02.88 | 180/67 |
| ნოდარ მაჭავარიანი | 26.10.86 | 194/85 |
| გიორგი ფეიქრიშვილი | 23.04.83 | 178/67 |
| ზვიად სტურუა | 25.04.78 | 190/82 |
| თეიმურაზ ლონლაძე | 21.05.85 | 171/62 |
| გიორგი მიქაბერიძე | 14.09.88 | 174/60 |
| თენგიზ ჩიკვილაძე | 08.12.83 | 181/76 |
| გიორგი დეკანოსიძე | 02.01.81 | 171/62 |
| აქვსენტი გილაური | 06.08.79 | 180/73 |
| გიორგი ფიფია | 04.02.85 | 170/58 |

*მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი*

## „ბორჯომი"

| | | |
|---|---|---|
| ბექა შეყრილაძე | 28.11.83 | 190/76 |
| გრიგოლ ზულმატაშვილი | 18.11.84 | 190/75 |
| გივი ქარქუზაშვილი | 20.09.86 | 178/65 |
| დავით ჯობაძე | 07.09.81 | 176/63 |
| პაატა გვირჯიშვილი | 17.02.78 | 178/65 |
| ირაკლი კიკნაძე | 01.02.87 | 176/62 |
| დავით ტლაშაძე | 17.12.87 | 175/62 |
| ნიკა სადალაშვილი | 10.10.80 | 180/70 |
| ნოდარ ნოზაძე | 11.06.87 | 117/66 |
| ლევან გაჩეჩილაძე | 28.11.85 | 175/62 |
| ნიკა ლომიძე | 25.04.87 | 177/63 |
| ზურაბ გოგოლაძე | 08.11.89 | 178/63 |
| მამუკა ხითარიშვილი | 07.09.87 | 178/64 |
| ვაჟა ხაჩიძე | 15.07.88 | 180/65 |
| თამაზ ნასყიდაშვილი | 01.12.86 | 175/62 |
| ზაზა ლაცაბიძე | 05.10.75 | 182/75 |
| ალექსი იობაშვილი | 06.03.92 | 175/62 |
| გარი კილაძე | 30.06.91 | 182/65 |
| გოჩა დათუნიშვილი | 01.06.87 | 177/65 |
| ნოდარ დევიძე | 03.02.86 | 175/63 |
| დავით გოგიჩაიშვილი | 04.06.86 | 176/65 |
| ლაშა ვაშაკიძე | 19.11.85 | 178/65 |
| გენო ბეჟანიძე | 26.11.84 | 178/63 |
| კახა ჯინჭარაძე | 25.03.85 | 183/75 |
| პავლე ხორგუაშვილი | 13.08.87 | 185/72 |
| ვალტერ ხორგუაშვილი | 13.08.87 | 186/74 |
| ვახტანგ კეკოშვილი | 13.12.86 | 182/67 |
| გიორგი ალავერდაშვილი | 21.11.87 | 185/73 |
| კონსტანტინე ავალიანი | 20.10.85 | 184/72 |

*მწვრთნელი: გიორგი სუხიაშვილი*

## „ზესტაფონი"

| | | |
|---|---|---|
| გრიგოლ ჭანტურია | 23.09.73 | 187/86 |
| სევასტი თოდუა | 13.05.76 | 188/82 |
| შალვა ლონლაძე | 17.08.78 | 185/79 |
| როინ ონიანი | 14.06.75 | 185/75 |
| ედსონ სანტოსი | 28.10.80 | 182/75 |
| ჟილვან ვიეირა | 09.04.84 | 178/75 |
| ჟონატას ტორესი | 24.04.84 | 185/79 |
| ზურაბ იონანიძე | 02.12.71 | 185/78 |
| ნიკა გელაშვილი | 08.05.85 | 183/77 |
| ერიკ რომეო ჩასემი | 02.09.85 | 185/79 |
| ბოიომო ფრიდოლინი | 08.04.82 | 185/81 |
| ნიკა სტეფანიშვილი | 23.04.81 | 182/78 |
| უჩა ლობჟანიძე | 23.02.87 | 185/80 |
| ნიკა კვასხვაძე | 15.04.88 | 184/78 |
| ბექა გოცირიძე | 12.02.88 | 172/70 |
| ირაკლი ძარია | 01.12.87 | 176/72 |
| გიორგი ხიდეშელი | 23.01.88 | 193/83 |
| ვაჟა ლომაშვილი | 04.09.85 | 182/79 |

*მწვრთნელი: თემურ მახარაძე*

## „სპარტაკი" ცხინვალი

| | | |
|---|---|---|
| გიორგი თექთუმანიძე | 17.09.80 | 176/73 |
| აკაკი კუპრეიშვილი | 04.01.83 | 179/71 |
| ლაშა მამუკაშვილი | 24.05.85 | 178/73 |
| მამუკა ლონლაძე | 25.11.85 | 178/73 |
| მაქსიმე ქვილითაია | 17.09.85 | 183/76 |
| ნუკრი გოგოხია | 07.02.88 | 178/75 |
| ბესიკ ხაჭიპერაძე | 19.11.84 | 180/78 |
| გიორგი ხიდაშელი | 21.11.85 | 179/77 |
| თორნიკე თარხნიშვილი | 30.06.90 | 178/74 |
| გიორგი ნადირაშვილი | 27.02.83 | 180/78 |
| ლაშა ჯანგიძე | 11.05.83 | 180/78 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 20.08.88 | 180/75 |
| ლადო დათუნაშვილი | 06.03.87 | 181/78 |
| გიგა იაშვილი | 27.02.86 | 180/74 |
| კობა შალამბერიძე | 15.10.84 | 178/72 |
| ირაკლი კობახიძე | 06.09.84 | 178/72 |
| ვაჟა ქორიძე | 05.01.87 | 180/76 |
| ნიკა მაისურაძე | 29.05.89 | 178/74 |
| ირაკლი სირბილაძე | 27.09.82 | 182/79 |

*მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი*

## „მესხეთი" ახალციხე

| | | |
|---|---|---|
| გიორგი სომხიშვილი | 27.11.80 | 182/78 |
| გელა ძამუნაშვილი | 31.03.81 | 183/80 |
| დიმიტრი ლეკიშვილი | 17.10.81 | 183/75 |
| ლევან მერებაშვილი | 22.02.79 | 185/82 |
| ზაზა კობესაშვილი | 12.09.72 | 184/77 |
| თემურ რაქვიაშვილი | 15.10.83 | 171/68 |
| ლევან თედიაშვილი | 01.06.86 | 193/77 |
| გიორგი მემარნიშვილი | 28.03.82 | 180/80 |
| კობა ხანიშვილი | 29.07.84 | 178/72 |
| დავით ინასარიძე | 24.02.76 | 170/62 |
| მიხეილ თაყაძე | 21.07.79 | 178/75 |
| გურამ სამადაშვილი | 05.02.86 | 180/78 |
| ბორის გონჩაროვი | 08.07.79 | 181/79 |
| გიორგი ქოჩორაშვილი | 05.02.87 | 178/74 |
| გელა სუდაძე | 12.05.79 | 175/72 |
| ვლადიმერ გოჩაშვილი | 05.07.76 | 193/87 |
| ლადო ახალაია | 26.06.82 | 190/80 |
| მიხეილ მურმანიშვილი | 21.08.89 | 174/67 |
| გიორგი ყურულაშვილი | 20.07.90 | 188/71 |
| ლაშა ქებაძე | 27.08.83 | 178/74 |

*მწვრთნელი: კობა თედიაშვილი*

## „სიონი" ბოლნისი

| | | |
|---|---|---|
| მინდია ბობლიაშვილი | 02.09.83 | 185/77 |
| დავით სვანიძე | 14.10.79 | 179/78 |
| გიორგი ოქროპირიძე | 01.03.86 | 184/68 |
| ლევან ბაჯელიძე | 02.10.78 | 179/83 |
| ბესიკ ქარდავა | 12.11.83 | 187/63 |
| მურმან ქურასბედიანი | 11.04.88 | 180/63 |
| ზაზა ჭელიძე | 01.12.87 | 186/72 |
| შოთა ჯიქია | 30.12.84 | 178/72 |
| ოთარ ნაყოფია | 29.01.87 | 187/75 |
| ლევან ჯიქიძე | 30.03.86 | 183/72 |
| გელა ხუბუა | 25.01.84 | 189/78 |
| ნიკა გურგენიძე | 18.02.91 | 182/69 |
| გიორგი ჩივაძე | 14.06.84 | 184/72 |
| ირაკლი შენგელია | 13.04.84 | 183/80 |
| ალექსანდრე კოშკაძე | 04.12.81 | 175/67 |
| რევაზ ქემოკლიძე | 13.03.79 | 187/77 |
| ლევან შავგულიძე | 23.11.80 | 181/77 |
| არჩილ ალავიძე | 10.06.85 | 182/77 |
| გივი დიდავა | 21.03.76 | 185/75 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | 04.09.80 | 183/71 |
| სულიკო დავითაშვილი | 11.12.77 | 165/67 |
| დავით ასლანაძე | 16.11.76 | 190/90 |
| მიხეილ კობაური | 11.06.82 | 181/76 |
| ბექა ნოზაძე | 09.02.82 | 171/71 |
| ვლადიმერ უგრეხელიძე | 24.11.85 | 173/69 |
| ნიკა გავაშელი | 01.03.86 | 184/69 |
| რევაზ გოცირიძე | 17.01.81 | 183/72 |
| ჯონი მიქელაძე | 11.11.84 | 176/68 |
| ლევან სანიკიძე | 09.06.82 | 180/72 |
| ზურაბ ქვაჩახია | 25.09.73 | 189/83 |

*მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე*

## „დინამო" თბილისი

| | | |
|---|---|---|
| დიდიე ოვონო | 23.01.83 | 188/82 |
| გიორგი ლორია | 27.01.86 | 196/83 |
| გურამ კაშია | 04.07.85 | 184/78 |
| შოთა კაშია | 22.10.84 | 182/74 |
| მილოშ კრშკო | 23.10.79 | 185/78 |
| ლექსო ინწკირველი | 24.08.81 | 187/82 |
| გულვერდ თომაშვილი | 13.10.88 | 180/73 |
| გიორგი ნერგაძე | 20.08.82 | 183/73 |
| დავით დიღმელაშვილი | 18.01.80 | 182/85 |
| ნიკა ჯიშკარიანი | 04.06.90 | 171/66 |
| ლევან ხმალაძე | 06.04.85 | 182/70 |
| ნიკა ფირცხალავა | 15.05.87 | 182/72 |
| დავით ოდიკაძე | 14.04.81 | 184/74 |
| ოლეგ გველესიანი | 16.09.80 | 180/75 |
| გიორგი მერებაშვილი | 15.08.86 | 178/73 |
| ჟორჟ აკირემი | 23.04.82 | 176/75 |
| მათე ვაწაძე | 17.12.88 | 180/76 |
| ილია სპასოევიჩი | 11.09.87 | 184/85 |
| გიორგი მაკარიძე | 31.03.90 | 194/85 |
| ზაალ ელიავა | 02.01.85 | 177/80 |

*მწვრთნელი: რაინერ ცობელი*

## „ლოკომოტივი" თბილისი

| | | |
|---|---|---|
| ნიკა გუშარაშვილი | 25.07.83 | 183/85 |
| ირაკლი სამხარაძე | 12.02.83 | 178/80 |
| დაჩი ფოფხაძე | 27.01.84 | 182/80 |
| გიორგი ბარბაქაძე | 06.05.89 | 174/76 |
| დავით ჩაგელიშვილი | 10.01.87 | 180/80 |
| ლევან ჩაგელიშვილი | 10.01.87 | 180/80 |
| აკაკი ქუხილავა | 29.01.83 | 178/75 |
| რატი ალექსიძე | 08.08.78 | 182/79 |
| თეიმურაზ ფარულავა | 20.07.83 | 180/79 |
| იოსებ გილაური | 10.11.88 | 177/76 |
| ლევან სარალიძე | 08.04.86 | 173/63 |
| ლევან გრიგალაშვილი | 27.01.86 | 184/80 |
| ვიტალი დარასელია | 27.09.78 | 179/80 |
| გიორგი კახელიშვილი | 22.05.87 | 178/72 |
| კოკა სეფიაშვილი | 19.03.86 | 185/80 |
| ირაკლი ჩირიკაშვილი | 10.01.87 | 175/76 |
| ზვიად ჩხეტიანი | 17.10.83 | 178/75 |
| გიორგი ლომაია | 08.08.79 | 192/87 |
| ზურაბ ბათიაშვილი | 06.02.80 | 187/78 |
| კახა მახარაძე | 20.10.87 | 181/78 |

*მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე*

## „მგლები" ზუგდიდი

| | | |
|---|---|---|
| არჩილ ბაჯელიძე | 07.04.86 | 186/76 |
| გიორგი ქუცურუა | 19.07.86 | 181/72 |
| გია გულუა | 26.07.83 | 172/65 |
| ზურაბ მამალაძე | 10.02.82 | 189/82 |
| დავით ხარჩილავა | 13.02.89 | 186/80 |
| ირაკლი ნაჭყებია | 29.10.86 | 186/75 |
| გიორგი ჯანაშია | 02.02.88 | 173/69 |
| ირაკლი ბარამია | 09.02.90 | 182/77 |
| გიორგი რეხვიაშვილი | 01.02.88 | 186/78 |
| გიორგი ჭოხონელიძე | 19.09.91 | 174/65 |
| ირაკლი ხარაძე | 11.06.87 | 180/75 |
| გიორგი გულორდავა | 06.04.87 | 171/69 |
| გია თოდუა | 07.06.82 | 180/75 |
| შერმადინ ღვინიანიძე | 22.04.84 | 185/75 |
| გიორგი მიქაბერიძე | 17.02.88 | 182/75 |
| ზურაბ ხურციძე | 21.06.91 | 175/70 |
| გიორგი გოგიბერიძე | 05.11.90 | 177/72 |
| დავით ჭითანავა | 02.04.82 | 176/75 |
| გიორგი ექონია | 30.03.85 | 188/82 |
| კონსტანტინე დარსანია | 29.10.84 | 186/85 |
| გიგა პერტაია | 07.07.89 | 185/79 |
| ავთანდილ თელია | 16.01.87 | 180/75 |
| მამუკა აქუბარდია | 20.01.88 | 183/80 |
| ვალტერ გუჩუა | 06.07.75 | 182/74 |
| ირაკლი ახალაია | 22.02.89 | 175/70 |
| ვლადიმერ ჯოჯუა | 05.12.80 | 170/66 |
| ილია ჯიშკარიანი | 06.03.88 | 188/86 |
| შოთა ლომია | 13.02.84 | 182/75 |
| ნიკა ხუხია | 31.08.88 | 188/86 |
| კახა გოგოხია | 08.08.88 | 180/76 |
| ვარლამ ქალდანი | 08.02.83 | 185/80 |

*მწვრთნელი: ბესიკ შეროზია*

# შოთა არველაძე: სიტყვა და საქმე კუპერზეა



ექტორ რაულ კუპერი ჯერ დანიშნულიც არ იყო საქართველოს ნაკრების მწვრთნელად, როცა შოთა არველაძეს ნაკრების ახალი თავკაცის თანაშემწედ მიიმჩნევდნენ. მეტიც, ეს თითქოს გადაწყვეტილი იყო, თვითონ შოთაც მონადინებული გახლდათ, თუმცა ის ჯერ მხოლოდ „ალკმაარის“ მესაჭე ლუის ვან გაალის ასისტენტია.
ნაკრების განვლილი ორი მატჩი; კუპერის სიახლეები; რუსეთ-საქართველოს ომი; ნაკრების 11-ნომრიანი მაისურა; „ალკმაარის“ შანსები ჰოლანდიის ერედივიზიონში — ბევრი კითხვა დაგვიგროვდა შოთასთან და მანაც, როგორც სჩვევია, ამომწურავად გვიპასუხა...

### ფეხბურთელობა კარგი იყო, მაგრამ...

— უკვე ორი თვე გავიდა, რაც ვან გაალის თანაშემწე ხარ. თავიდან გვეუბნებოდი, ვერ წარმომიდგენია ფეხბურთელობის გარეშეო. ახლა?

— ფეხბურთელობას რა შეედრება. ცხადია, თამაში უფრო საინტერესოა, ვიდრე მწვრთნელობა, მაგრამ წავიდა ის წლები და ველარ გავეკიდები. რაც მთავარია, ფეხბურთთან მაქვს საქმე, მწვრთნელობას ნელ-ნელა ვეჩვევი, გუნდს ვავარჯიშებ, ხანდახან მეც ვთამაშობ. მაგალითად, დღეს მეტოქის მატჩის სანახავად მივდივარ.

— B ლიცენზია უკვე გაქვს. A-ს როდის იღებ?

— დეკემბერში იქნება კურსები.

— რა მიზნები აქვს წლეულს „ალკმაარს“, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება შეუძლია?

— ლიგის საგზური არა მგონია, ძალიან ძნელია, ვნახოთ... ხუთეულში შესვლა კი რეალური ჩანს. უეფას თასზე უნდა გავიდეთ.

— ფავორიტი ისევ პსვ-ა?

— დიახ. დღესაც „აიაქსზე“ კარგი გუნდი ჰყავს.

### ჰოლანდია ომში ნეიტრალურია

— ჰოლანდიაში რა გამოხმაურება ჰქონდა რუსეთ-საქართველოს ომს?

— სიმართლე გითხრათ, მხოლოდ პირადული. მე მეკითხებოდნენ, შენ ხომ არაფერი გიჭირს, არჩილს ხომ არაფერი უჭირს... გაზეთებს თითქმის არ ვკითხულობ, ისე კი, ჰოლანდიის მთავრობის მხრიდან რაიმე ხმაურიანი რეაქცია არ ყოფილა ომზე. ასეა, ნეიტრალურს იჭერენ.

— ომში დაზარალებულთა დასახმარებლად ორი საქველმოქმედო მატჩის ორგანიზება განიზრახე. როდის იქნება ეს თამაშები?

— ჰოლანდიაში, სადაც „აიაქსი“ — „ალკმაარის“ ვეტერანთა მატჩს ვგეგმავ, ყველაფერი მომზადებულია. 19 სექტემბერს მინდოდა მატჩის გამართვა, მაგრამ სტადიონის პრობლემა იყო. მინდა, 6-7 ათასი მაყურებელი მაინც მოვიდეს, რათა თანხა შემოვიდეს. სავარაუდოდ, ამსტერდამის ოლიმპიურ სტადიონზე ოქტომბრის დასაწყისში შედგება ეს შეხვედრა. ჰოლანდიაში ერთი პოპულარული მომღერალია და ისიც ითამაშებს.

— და თურქეთში „ტრაბზონსპორი“ — „დინამო“ როდის იქნება?

— ეს შედარებით რთული საკითხია. „დინამოს“ თურქეთში წასვლა იქნება პრობლემა. შესაძლოა, „ტრაბზონსპორ“ — „დინამოს“ ვეტერანებმა ვითამაშოთ. მე და აჩი ისედაც ვითამაშებდით, მაგრამ მინდოდა, უფრო სხვა სახე ჰქონოდა მატჩს, მოქმედი ფეხბურთელები გასულიყვნენ მოედანზე. ვნახოთ, კარგი იქნება თუ ასე მოხდება.

### 11 და 10 ნომერი თუ არ გვეყოლება, რაღა ქართული ფეხბურთია?!

— ფეხბურთიდან შენი გაცილების მატჩში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, ამიერიდან ნაკრებში 11 ნომერს აღარავინ ჩაიცმევს, ის შოთას კუთვნილებააო. თუმცა ირლანდიასთან და იტალიასთან მატჩებში დავით სირაძე 11-ნომრიანი მაისურით თამაშობდა...

— მე არ ვიყავი მომხრე, რომ 11 ნომერი საბოლოოდ დამრჩენოდა. ეს გამოვაცხადე კიდეც ხმამაღლა. 11 და 10 ნომერს თუ არავინ ჩაიცმევს, რაღა ქართული ფეხბურთი გამოვა?! მით უმეტეს, დიდ ტურნირებზე გასვლის შემთხვევაში მაინც მოუწევდა ვინმეს ამ ნომრიანი ფორმის ჩაცმა — ეს ხომ ფიფას წესია.

— აქვე თქვენი ფონდის საქმიანობაზე გკითხავთ. დავით დევდარიანი დანიურ „ორჰუსში“ მოეწყო, ზაქარია ბეგლარიშვილი როდის მიდის „აიაქსში“?

— ბეგლარიშვილის საკითხს სხვადასხვა პროცედურები უშლიდა ხელს, ორშაბათ-ოთხშაბათს ამსტერდამში ჩამოფრინდება და გუნდს შეუერთდება. ეს გადაწყვეტილია.

— უახლოეს პერიოდში კიდევ ვინმეს მივლინებას ხომ არ აპირებთ უცხოურ კლუბში?

— დიახ. გერმანიაში წავა ორი-სამი ქართველი ახალგაზრდა, თუმცა გვარებს ჯერ ვერ ვიტყვი.

### ნაკრების თამაშში მეტი ორგანიზებულობაა

— საქართველოს ნაკრებზე გადავიდეთ: ირლანდიასთან და იტალიასთან რა სიახლეები დაინახე ჩვენების თამაშში?

— გული დამწყდა წაგებებზე. ირლანდიასთან ინდივიდუალურად ცუდად ითამაშეს ფეხბურთელებმა, ასე რომ არ მომხდარიყო, არ წავაგებდით. ისიც ვიკითხოთ, რა ბურთი გავუშვით... ასეთ გოლს რომ გაუშვებ, ერთი კვირა მაინც გჭირდება ფსიქოლოგიური წნეხიდან გამოსასვლელად. რაც მომეწონა, ორგანიზებული თამაში იყო.

— ანუ, მწვრთნელის ხელი ეტყობოდა ნაკრებს?

— დიახ. თუნდაც ის, რომ მეორე ტაიმი უელსთან, ირლანდიასთან და იტალიასთანაც პირველზე უკეთესი იყო, უკვე მწვრთნელის დამსახურებაა. ეს ნიშნავს, რომ კუპერს შეუძლია შესვენებაზე გუნდის გარდაქმნა. ეს ცოტა არ არის. კუპერმა დაინახა, რომ ლევან ყენია ფრთიდან ისე მწვავედ ვერ უტევდა, უფრო მეტი გასაქანი მისცა, ცენტრში შეწია და მეტი ეფექტი მიიღო. ჩემი აზრით, პროგრესი შესაძლებელია, რაღაც გარკვეული ძვრები უკვე ჩანს.

— კუპერს დაცვითი ფეხბურთის მიმდევრად იცნობდნენ. ამ ორ მატჩში შეატყვე ეს?

— დაცვაში ორგანიზებულად დგომა უფრო შევატყვე, ვიდრე 11 კაცის საკუთარ საჯარიმოში ამოკეტვა.

— როგორ ფიქრობ, იტალიას რომ სწრაფი გოლი არ გაეტანა, მეორე ტაიმში სათამაშო უპირატესობა მაინც ჩვენი იქნებოდა?

— იტალია სულ ასე გვეთამაშება, როდის ერთხელ გადაუვლიათ ჩვენთვის?!

### კუპერს თუ არ ვჭირდები...

— თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ კუპერს ერთი თანაშემწე ქართველი უნდა ჰყოლოდა და ეს შენ უნდა ყოფილიყავი. რა სიახლეა ამ მხრივ?

— არაფერი. ეს კუპერის გადასაწყვეტია. თანაშემწეს რაღაც ფუნქცია ხომ უნდა ჰქონდეს? თუ კუპერს არ სჭირდება ჩემი სამსახური, ძალით არ შევთავაზებ თავს.

— ვან გაალს ელაპარაკე, რომ შესაძლოა, ნაკრების თავკაცის თანაშემწე გახდე?

— ჯერ რა აზრი აქვს. თუ კუპერი თანახმა იქნება, მაშინ დაველაპარაკები ვან გაალს.

**ილია ნანოგაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიკვდილი გამოვიარეთ

## სანდრო კობახიძე: ბრაზით კი არა, ჭკუით უნდა გვეთამაშა

უკრაინული „დნიპროს“ მარცხენაფლანგელი სანდრო კობახიძე პეტარ სეგრტის 21-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელია და როცა დავუკავშირდით, პირდაპირ გვითხრა, ყველაფრის ღირსნი ვართ, რაც ბელარუსში დაგვემართა, ამას გამართლება არ აქვსო.
0:4 რუსეთთან და 0:5 პოლონეთთან — რა თქმა უნდა, ჩვენ უფრო „ჩრდილოელ მეზობელთან“ განადგურებამ გაგვანბილა... სანდრო კობახიძემ რუსეთთან მეორე ტაიმში ითამაშა, პოლონეთთან კი — შეუცვლელად

— პირველი მატჩიდან დავიწყოთ. რუსებთან კარიერის თამაში გვაქვს, თავს დავდებთ და მოვიგებთ — ასეთი იყო განცხადებები, მაგრამ ყველაფერი უკუღმა მოხდა...

— ძალიან მაგრად გვაჯობეს, თამაშზე სათქმელი არც არაფერია. პირველი გაშვებული გოლის შემდეგ ცოტა ხანს თითქოს ავაწყვეთ თამაში, მაგრამ მეორე ბურთმა მოგვსპო.

— და რატომ? მიზეზი?

— თავის გასამართლებლად არ გამოდგება, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ვერ მოვემზადეთ, ამ დონის მატჩისთვის მეტი ორგანიზება იყო საჭირო. ჯერ იყო და, პრაღაში ჩავფრინდით, საიდანაც ძლივს ჩავაღწიეთ მინსკში. ისეთ სასტუმროში მოგვათავსეს, რომ უარესი არც შეიძლებოდა. თეორიული მეცადინეობისთვის ოთახს არ გვაძლევდნენ. მატჩის წინა დღეს 40 წუთზე მეტი არ გვავარჯიშეს, არადა, უეფას წესებით ასე არ არის. ვარჯიშზე თავიდან ბურთებსაც არ გვაძლევდნენ. პლუს, ბევრი ფეხბურთელი გვაკლდა, ძალიან შორს ვიყავით ოპტიმალური შემადგენლობისგან... მაინც არ უნდა გვეთამაშა ასე საზიზღრად.

— მატჩის წინ რა დარიგება მოგცათ სეგრტმა?

— პატრიოტული სიტყვები გვითხრა და აგვიხსნა, როგორ უნდა გვეთამაშა. წმინდა საფეხბურთო საკითხებზე გველაპარაკა, მაგრამ მინდორზე ისე გავედით, აი, ახლა შევჭამთ რუსებს, წინ ვერ დაგვიდგებიანო. ის არ ვიფიქრეთ, რომ ბურთი ბრაზით და ბოღმით კი არა, ჭკუით უნდა წაართვა.

— ასეთ წაგებას მაინც არ აქვს გამართლება...

— გეთანხმებით. ერთი სიკვდილი გადავიტანეთ. რუსეთთან არ უნდა შევრცხვენილიყავით. თუმცა ისე არ ყოფილა, თითქოს თამაშამდე წავაგეთ. აშკარად გვაჯობეს რუსებმა.

— მატჩის დაწყებამდე გრძნობდით, რომ ბელარუსი რუსთა მხარეს იჭერდა?

— რა თქმა უნდა. აკი ვთქვი, სასტუმროშიც და ვარჯიშზეც ცუდად გვექცეოდნენ-მეთქი. ის კი ტყულია, რაც რუსებმა დაწერეს, თითქოს სასტუმროში მათ დავცინეთ. ასე არ იყო: ორი ჟურნალისტი მოვიდა სასტუმროში, ჩვენთან სურდათ საუბარი, ეს ხდებოდა თამაშის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე. ჩვენს ნაცვლად სეგრტი მივიდა მათთან და უთხრა, რომ მატჩის წინ ინტერვიუს ვერ მივცემდით, თამაშის მერე კი ბატონოო.

— უშუალოდ თამაშისას ერთმანეთთან სიტყვიერი შელაპარაკება არ გქონიათ ფეხბურთელებს?

— არა. პირიქით, ერთი რუსი ფეხბურთელი მოვიდა ჩემთან და მითხრა, გთხოვ, აქ პოლიტიკა არ იყოს, ფეხბურთი ვითამაშოთო.

— მატჩის შემდეგ?

— არა.

— პოლონეთთან თამაშზე რაღას იტყვი?

— ძალიან სულელური გოლები გავუშვით, ბოლო წუთებში გუნდი მთლად აირია. პოლონეთთან წაგება რუსეთთან მარცხის გაგრძელება იყო. უკვე ფსიქოლოგიურად ვიყავით დაცემულები.

— სეგრტი როგორ დაგშორდათ?

— გამშრალი იყო კაცი. ძალიან შემეცოდა.

— „დნიპროზეც“ ვთქვათ. მანდ როგორი სიტუაციაა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებით?

— აქ რუსებიც თამაშობენ, მაგრამ ნორმალურად ვართ ერთმანეთთან. ცუდი არაფერი გვიგვრძნია არც მე, არც ჯაბა კანკავას.

— კანკავაზეც გკითხავ: ჯერ არ დაუწყია ვარჯიში?

— არა. ჯერ სარეაბილიტაციო კურსს გადის, ტრენაჟორებზე ვარჯიშობს.

**ილია ნანოგაშვილი**

# ალკაშ, შტოლი?!


რომან პავლიუჩენკო

**სადაურია** რომან პავლიუჩენკო? სადაურია და რუსია. ჰოდა, ამიტომაც არ არის გასაკვირი, რაც „ტოტენჰემში" გადასვლის შემდეგ მის შესახებ ინგლისურ პრესაში დაიწერა: ეგ ლოთი აქ რად მოიყვანეთო. ერთი სიტყვით, ბრიტანელ ჟურნალისტებს გაუჩნდათ ეჭვი, რომ პავლიუჩენკო, თანამემამულეთა დიდი უმეტესობის მსგავსად, ცხოვრების აზრს არყის ხუხვაში ხედავს. მაგრამ, აი, შვილის დასაცავად მის კრასნოდარელ დედას ამოუღია ხმა.

„ჩემს ბიჭს კარგად ვიცნობ. წელიწადში ერთი ჭიქა ლუდი თუ დალია, დიდი ამბავია. მთვრალი არასდროს მინახავს. მაშინაც კი, როდესაც კრასნოდარში ჩამოდის და დიდ წვეულებას ვმართავთ, სადაც ნათესავებს, მეგობრებს და მეზობლებს ვპატიჟებთ, ის წვეთსაც არ ეკარება".

კარგი ბატონო, მაგრამ პავლიუჩენკოებისთვის არყის სმა უცხო ხილი რომ არ არის, ინგლისელებმა (კერძოდ, „დეილი მეილის" ჟურნალისტმა უილ სტიუარტმა) მარტივად დაუმტკიცეს ფართო საზოგადოებას. ცნობილ ინტერნეტსაიტზე youtube.com კადრებიც კი იყო, როგორ გიჟობს პავლიუჩენკოს გახეთქილი მთვრალი მამა.

გარდა ამისა, იხსენებენ თავად ფეხბურთელის ადრეულ ნათქვამსაც:

„სლოვენიასთან თამაშის შემდეგ ზედმეტი მომივიდა. სხვა ფეხბურთელებმა მომხედეს. ყველაზე მძიმე კი ქორწილის დღემ ქონდა. იმდენი დავლიე, სასტუმროს აივნიდანაც კი ჩამოვვარდი. გოგო რომ შემეძინა, მაშინაც იგივე მოხდა".

**ბაჩუნა ძიძია**

*ტოტალიზატორი*

## 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი წყვილი შედეგი კოეფ-ტი სისტ

— რა ვაზივით ნაზარდი ბილეთი მქონდა, ნახე, რა! მოვლილი, გასხლული, შოწამლული და ამ კორუმპირებული შვეიცარიის...

— რა გეწერა?

— რა აღარ მეწერა, ტო! დაჟე ვანუატუს ერთიანი დავიჭირე ფიჯისთან. ფიჯი სერიოზული სასტავია, მარა ვანუატუ, ხო იცი, მეთქი, კლასის ხარჯზე და რამე...

— მერე?

— შვეიცარიის ფორით მოგება მივაწერე ლუქსემბურგთან...

— რამ მიგაწერინა, ძმაო, ვანუატუა გუნდი და ლუქსემბურგი არა? აბა შენ ფუტბოლი არა გცოდნია......

— ვინა, ბიჭო, ვინა, ტო! ლუქსემბურგი, ტო? პროსტაამც, ტოტალიზატორში ამდენი თმაგაწეწილი პროფესორი ხო ზის, ნებისმიერს ვკითხოთ და გაგიმაზავ, რო ცვეტში ასიდან ერთიც ვერ გაჩვენებს რუკაზე ლუქსემბურგს...

შენ კიდე მიმტკიცებ, რო ამ გუნდმა შვეიცარიას ჰალალ ფუტბოლში მოუგო...

— თამაში ვნახე და უეჭველს გეუბნები, ლუქსემბურგმა იმენა შეუსრულა, ძმაო. პადსებიები თავით და რა ვიცი... კუთხურებს მაკრატელათი აწვდიდნენ და აეგეთი პონტები იყო...

ჰიცფელდს როჟა ხინკლის ჭიპივით დაეგრიხა, მაგის სიფათი ხო იცი, ცვეტში ნანახს გიყვები...

— რა ხინკლებს მიყვები, ტო! შანსი არაა, რო ლუქსემბურგს პა იგრე მოეგო. შვეიცარიის მაგ წაგებას მარტო ერთი გაიასნება აქვს.

— ავხსნათ, ძმაო...

— ევროპის ჩემპიონატის სამასპინძლოდ რო მაყუთები ჩაყარეს და მაგათი ნაკრები ჯგუფში ჩარჩა, ტონობით ფული იზარალეს......

— მერე? ეგ თუ იცოდი, რატო ჩაწერე?

— რა მერე, ტო! გვიან მოვწვი. პროსტაამც, მამენტ ვიფიქრე, ლუქსემბურგთან არ იყომარებენ, ძაან ყვირის და იავნად გამოჩნდება-მეთქი და იმიტო მივაწერე.

იმენა, ეხლა უკვე ცვეტში მგონია, რო შვეიცარიის ყველა ბანკს, ევროპის ჩემპიონატი რო დააფინანსეს, ლუქსემბურგის ორიანები ეწერა ბილეთში.

— ეხლა არა თქვა, ხორვატიამაც იყომარა ინგლისთან......

— აბა, რა, ტო! მა როგორ! შენ, ეტყობა, აბზორი არ გინახავს. ხორვატიის მეკარემ რეები ქნა, იცი? უოლკოტმა სამჯერ დაურტყა და მეკარე სამჯერვე დარტყმამდე დაწვა. მასტმა იმენა სანგარი ამოთხარა და ჩაწვა, რო ბურთი ასცდენოდა. ეგეთი უნამუსობა? იავნად მისცეს რა, თამაში. შარშანდელი „უემბლის" ვალი დაუბრუნეს, ინგლისელებს კიდე, ჰგონიათ, რო კაპელო ტრენერია...

— „ლივერპულ"-„მანჩესტერზე" რას ფიქრობ?

— ფერგიუსონი მისცემს მაგ თამაშს. უეჭველი ვიცი, რო ჩემპიონი „ლივერპული" ხდება.

— საიდან იცი?

— ბენიტესი ხო მიდიოდა ამ ზაფხულს გუნდიდან და ფერგიუსონს დაურეკია, აეროპორტიდან მოუბრუნებია, დაბრუნდი, წელს ჩემპიონობას გჩუქნითო...

**ქუჩი ქოჩმარია**

ჩემი ბილეთი:
001 ლივერპული — მანჩესტერი
შედეგი: სკანდალი
სავარაუდო მოგება: სახლი ვანუატუს პრესტიჟულ რაიონში
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, მართლა ამოუვარდა
თუ არა ოტმარ ჰიცფელდს ჯიბიდან ბილეთი,
რომელშიც შვეიცარია — ლუქსემბურგის
ლაბავოი ორიანი ეწერა.

114140 *

## ვენგერმა აპია უარყო

**ლონდონის** „არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, [illegible] ები" განელ ნახევარმცველ სტეფან აპიასთან ხელშეკრულების დადებას აპირებენ. განის ნაკრების კაპიტნის სახელს [illegible] იუნაიტედთანაც" აკავშირებდნენ.

## კვირას კეჟმანის დებიუტია?

**REUTER-ის** ცნობით, შესაძლოა, ფრანგული პსჟ-ის სერბი თავდამსხმელის მატეა კეჟმანის დებიუტი ამ კვირას, საფრანგეთის ჩემპიონატის მე-5 ტურში „ნანტის" წინააღმდეგ შედგეს. შეგახსენებთ, რომ 29 წლის ფორვარდი დედაქალაქელთა რიგებში აგვისტოში თურქული „ფენერბაჰჩედან" გადავიდა.

## სალიგო განაცხადის შევსება

**ინგლისურმა** „მანჩესტერ იუნაიტედმა" ჩემპიონთა ლიგის განაცხადში კიდევ ექვსი ფეხბურთი შეიყვანა: მეკარე ბენ ფოსტერი, მცველები ფაბიუ და სილვა და რაფაელ და სილვა, ნახევარმცველი როდრიგუ პოსებონი, თავდამსხმელები დიმიტარ ბერბატოვი და მანუჩუ გონსალვეში.

## რეალი ზამთარში არ იაქტიურებს

**მადრიდის** „რეალის" სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა განაცხადა, რომ „სამეფო კლუბი" ამ ზამთარს ახალი ფეხბურთელების შეძენას არ გეგმავს. „ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას არავის ყიდვას არ ვაპირებთ. ამჟამად კლუბის განკარგულებაში 24-კაციანი ჯგუფია, რომელსაც მთავარი მწვრთნელი სავსებით ენდობა. ახალი ფეხბურთელების შეძენის აუცილებლობას ვერ ვხედავ" — ბრძანა მიატოვიჩმა.

## მუტუ ჯერ კიდევ ნაკრებშია

**რუმინეთის** ნაკრებისა და იტალიური „ფიორენტინას" თავდამსხმელმა ადრიან მუტუმ ეროვნული გუნდიდან წასვლის შესახებ გავრცელებული ხმები უარყო.

„რა თქმა უნდა, ძალიან გამკვირდა, როდესაც ამ ინფორმაციამ ჩემამდე მოაღწია. მე ხომ ამდაგვარი არაფერი მითქვამს. გავრცელებული ხმები სინამდვილეს არ შეესაბამება. ამ თემაზე მთავარ მწვრთნელთან არ მისაუბრია და საბოლოო გადაწყვეტილებაც ჯერ არ მიმიღია" — აღნიშნა ფეხბურთელმა.

## დევიდ ბექემისთვის მთავარი გამარჯვებაა

**ინგლისის** ნაკრებისა და „ლოს ანჯელეს გელექსის" ნახევარმცველის დევიდ ბექემის განცხადებით, იგი სრულიადაც არ დარდობს, რომ ნაკრების ბოლოს ორ შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდა: „მთავარია, რომ ინგლისმა ორი გამარჯვება მოიპოვა. ხორვატიასთან მატჩის შედეგმა დიდად არ გაგვაკვირვა. უბრალოდ, უკეთეს ხასიათზე დაგვაყენა. ახლა ჩვენ ვალდებულნი ვართ, თამაში ამავე ტემპში გავაგრძელოთ. ფაბიო კაპელო მოდუნების საშუალებას არ მოგვცემს".

## ვალბუენამ ტრავმა მოირჩინა

**ფრანგული** „მარსელის" ნახევარმცველმა მატიე ვალბუენამ საზარდულის ტრავმა მოირჩინა და მოედანზე, სავარაუდოდ, შაბათს, „ბორდოს" წინააღმდეგ გამოვა. „მატიე მოედანზე გამოსვლისთვის მზადაა — თქვა „მარსელის" დამრიგებელმა ერიკ გერეტსმა — ის ან ძირითად შემადგენლობაში იქნება და ითამაშებს იმდენს, რამდენსაც შეძლებს, ანდა შეცვლაზე შემოვა". სამაგიეროდ, დიდ ალბათობაა, რომ ამ შეხვედრაში „მარსელს" მუხლის ტრავმის გამო ნახევარმცველი ჰათემ ბენ არფა ვერ დაეხმაროს.

## უიღბლო რადოიუ

**ბუქარესტის** „სტიაუას" კაპიტანმა მირელ რადოიუმ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის დროს ბარძაყის ტრავმა მიიღო და თავის კლუბს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის პირველ ორ შეხვედრაში — მიუნხენის „ბაიერნთან" და ფლორენციის „ფიორენტინასთან" — ვერ დახმარება. ექიმების პროგნოზით, 27 წლის ნახევარმცველი მწყობრიდან, სულ ცოტა, ორი კვირით გამოვიდა. რადოიუ ჩემპიონთა ლიგაში თავისი კლუბის ზედიზედ მესამე სტარტს გამოტოვებს. ორი წლის წინ მან მარჯვენა მუხლის მენისკზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაცია ვერ მოასწრო, გასულ სეზონში კი მარცხენა მუხლი აწუხებდა.

## დუნგა არ მიდის

**ბოლივიასთან** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ნათამაშები უგოლო ფრის შემდეგ, ბრაზილიის ნაკრების თავკაცი კარლოს დუნგა თანამდებობიდან გადადგომას არ აპირებს.

„მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე მუშაობას გავაგრძელებ. არ მალელვებს, რომ სიძნელეებთან შეჭიდება მიწევს" — განაცხადა ბრაზილიელთა დამრიგებელმა.

**არჩილ ძოგახიძე**

# თეო-ლოგიური საკითხები და პრობლემები



**აი, ახლა** კი ინგლისი ნამდვილ ლაშქრობას იწყებს — უეინ რუნიმ ზაგრებში თეო უოლკოტს სულ სხვა თვალით შეხედა და მსოფლიოსაც დაემუქრა.

რუნისა და უოლკოტის წყვილს ყურადღება, ბუნებრივია, მიმომხილველებმაც მიაქციეს. ინგლისური გაზეთები წერენ, რომ მანჩესტერელმა არსენალელთან ისე აწყო, როგორც თავის დროზე ალან შირერი და ტედი შერინგემი აწყობდნენ. უფრო სწორედ, ბევრი ექსპერტი ვარაუდობს, რომ შერინგემ-შირერის წყვილის შემდეგ, მათ ნაკრებს ასეთი ძალის დუეტი აღარ ჰყოლია.

და მართლაც, რაკიცა ამ ლოგიკას ზაგრებულ თამაშზე დაყრდნობით ვაწყობთ, არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ, რომ ამ შეხვედრაში ხორვატების საკმაოდ ძლიერმა გუნდმა (რომელმაც, მოდი, ნუ დაგვავიწყდება, რომ ევროპის ჩემპიონატის, ანუ წინა შესარჩევში ინგლისელებს შინაც მოუგო და სტუმრადაც), რუნისა და უოლკოტის წყვილს კაპიტულაციის გარდა ვერაფრით გასცა პასუხი. შეხვედრა ინგლისელების გამარჯვებით, 4:1 დასრულდა.

ჟურნალისტებთან საუბრისას რუნიმ ახალი პარტნიორი ასე დაახასიათა:

„თეოს შემაძრწუნებელი სისწრაფე აქვს. ასეთი კოზირი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ინგლისის ნაკრებს არ ჰქონია“.

ასე და ამგვარად, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ სწორედ თეო უოლკოტია ის ფეხბურთელი, რომელიც ასე აკლდა ქვეყანას ბოლო 42 წლის განმავლობაში — ინგლისი ხომ მსოფლიოს ჩემპიონი ერთადერთხელ, 1966 წელს გახდა.

„თეოს ჩვენთვის ტიტულების მოტანა შეუძლია — განაგრძო რუნიმ — ის მეტად ახალგაზრდაა, მაგრამ ხორვატებთან შეხვედრაში ჰეთ ტრიქი შეასრულა, რისთვისაც გაზეთებში დამსახურებულად აქებენ. მას მეტოქე მცველების ზურგსუკან შევარდნა უყვარს და იქ ისეთ რალაცებს აკეთებს, რომ მოწინააღმდეგე შეტევაზე გაბედულად ვეღარც კი გადმოდის. მისნაირი სწრაფი მოთამაშე არც კი მინახავს. წინა კვირას ვარჯიშზე ისეთი გოლი გაიტანა, რომ მთელმა ნაკრებმა პირი დავაღეთ. ყველა დარწმუნდა, რომ მისი სახით არაბუნებრივი სისწრაფის ადამიანთან გვაქვს საქმე. როდესაც თეო სისწრაფეს კრებს, დაუჯერებელი რამ ხდება“.

ინგლისელთა მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს მტკიცებით კი, თეო უოლკოტის საუცხოო თამაშმა მის გუნდს, ლონდონის „არსენალს“... პრობლემები შეუქმნა.

„მე კი არა, თავსატეხი „არსენალს“ გაუჩნდა — ბრძანა იტალიელმა — ამიერიდან ლონდონელებს ჰყავთ უკვე სხვა დონეზე ასული ფეხბურთელი, რომელიც განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ აღმოჩნდება. არსენი? არსენი მისთვის საუცხოო მწვრთნელია, ზედგამოჭრილი“.

შემდეგ, კაპელომ განმარტა, რატომ ათამაშა ხორვატების წინააღმდეგ უოლკოტი:

„შემადგენლობას იმის მიხედვით კი არ ვაყენებდი, ვისი თამაში მომწონს და, ზოგადად, ვის მიმართ მაქვს სიმპათია, არამედ იმის მიხედვით, იმწუთას ვინ იყო კარგ ფორმაში. თეო ახალგაზრდაა, მას ყველაფერი წინ აქვს და ჩვენგან დახმარება სჭირდება. დღეს ყველა გვაქებს და გვადიდებს, მაგრამ ზედმეტი არ უნდა მოგვივიდეს. ცაში ფრენა ხეირს არ დაგვაყრის“.

**პაპუნა ძიძია**

| IV ტური |
| --- |
| **დღეს** |
| ბლექბერნი — არსენალი |
| ფულემი — ბოლტონი |
| ლივერპული — მანჩესტერი |
| სიტი — ჩელსი |
| ნიუკასლი — ჰალი |
| პორტსმუთი — მიდლსბრო |
| ვესტ ბრომვიჩი — ვესტ ჰემი |
| უიგანი — სანდერლენდი |
| **ხვალ** |
| სტოკი — ევერტონი |
| **ზეგ** |
| ტოტენჰემი — ასტონ ვილა |

## ინგლისი

# ბენიტესს მანჩესტერი აწუხებს
## გატყდება მანჩესტერული ნავსი?

**რაფაელ ბენიტესი** პრემიერლიგაში 2004 წლიდანაა და მისი „ლივერპული“ „მანჩესტერის“ დამარცხებას ამ ხნის განმავლობაში ამაოდ ცდილობს.

ბოლოს „ლივერპულმა“ „მანჩესტერს“ 2004-ის გაზაფხულზე „ოლდ ტრეფორდზე“ სძლია — 1:0. 2005 წლიდან კი, ბენიტესის ხელში მერსისაიდელებს არა თუ „მანჩესტერისთვის“ არ მოუგიათ, გოლიც კი არ გაუტანიათ.

„ლივერპულში“ რაფაელ ბენიტესის დანიშვნის დღიდან ქომაგები „მანჩესტერის“ დამარცხებას ელიან და დღეს მორიგი შანსია.

მერსისაიდული გუნდის მთავარი კაცი სტივენ ჯერარდი ალბათ ითამაშებს, რადგან ცოტა ხნის წინ საზარდულის ოპერაცია გაიკეთა და პარასკევს უკვე ივარჯიშა. ძირითად შემადგენლობაში იქნება ტრავმამოშუშებული ფერნანდო ტორესიც. „ორივე თავს უკეთ გრძნობს — თქვა ბენიტესმა — ვარჯიშზე საკმაოდ კარგად გამოიყურებოდნენ და „მანჩესტერთან“ განაცხადში შევიყვან“.

ლირვეპულელთა მცველმა ჯეიმი კარგერმა განაცხადა: „მე იღბლის და უიღბლობის დიდად არ მჯერა, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო წლებში „მანჩესტერი“ პირად შეხვედრებში აშკარად გვჯობდა.“

„ტოტენჰემიდან“ „ლივერპულში“ გადასული რობი კინი ალექს ფერგიუსონმა გააშაყირა — ვერ გავიგე, ამ ფეხბურთელში „ლივერპულმა“ 20 მილიონი გირვანქა რატომ გადაიხადაო. ირლანდიელმა ფორვარდმა ფერგიუსონს უპასუხა: „ძალიან მიკვირს, რომ ჩემი თანამემამულე ჯონ ოში „მანჩესტერის“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. ის ხომ ერთ-ერთი საუკეთესოა. მეც არ მათამაშებს ბენიტესი სასტარტოში, მაგრამ მწვრთნელის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ“.

პრემიერლიგის ისტორიაში რეკორდული შენაძენი რობინიო „მანჩესტერ სიტის“ ძირითადში ითამაშებს თუ არა, ჯერ უცნობია. ბრაზილიელი ფეხბურთელი სამშობლოდან გუშინწინ დაბრუნდა და მარკ ჰიუზი დღეს გადაწყვეტს, ათამაშებს თუ არა „ჩელსისთან“.

„ქალაქელთაგან“ პაბლო საბალეტა, შესაძლოა, სასტარტოში იყოს, მარტინ პეტროვი ტრავმირებულია, მაიკლ ჯონსონი და მიკა რიჩარდსი ალბათ ითამაშებენ.

„ჩელსის“ მიკაელ ესიენი დააკლდება, რომელსაც ექვსთვიანი მკურნალობა მოუწევს და მის ადგილს ალბათ ჯონ ობი მიკელი დაიკავებს. მიხაელ ბალაკიც დაშავებულა, დიდიე დროგბა კი „სიტისთან“, ალბათ, სეზონში პირველ მატჩს ითამაშებს.

ბლექბერნში „არსენალი“ ტომაშ როსიცკის, აბუ დიაბისა და ედუარდოს გარეშე ჩავა. ხორვატიასთან ჰეთ თრიქის შემსრულებელი თეო უოლკოტი, შესაძლოა, სათადარიგოებში დარჩეს, ისევე, როგორც მექსიკიდან დაბრუნებული კარლოს ველა.

„ბლექბერთან“ სამთვიან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა რობი ფაულერმა და გამორიცხული არაა, პოლ ინსმა „არსენალთან“ ათამაშოს. ანდრე ოიერი, ვინსენტ გრელა და დევიდ დანი ტრავმირებულნი არიან.

„ნიუკასლიდან“ წასული კევინ კიგანის ადგილს დროებით კრის ჰაფტონი დაიკავებს და გუნდს „ჰალთან“ მატჩში უთავკაცებს. მასპინძლებს ობაფემი მარტინსი, მარკ ვიდუკა და დემიენ დაფი დააკლდებათ. ჰაბიბ ბეიეს და ხონას გუტიერესის თამაში საეჭვოა.

კევინ კიგანივით, სეზონის დასაწყისში „ვესტ ჰემიდან“ ალან კერბიშლი წავიდა და მას ჯანფრანკო ძოლა შეცვლის, თუმც დღეს, „ვესტ ბრომვიჩთან“ მატჩში „ჩაქუჩებს“ დროებით კევინ კინი გაუძღვება და მომავალი ტურიდან კინის ადგილს ძოლა დაიკავებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1 ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 2 ლივერპული | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 |
| 3 სიტი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 4 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 1 | 3 |
| 4 არსენალი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 3 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 5 ვესტ ჰემი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 1 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 4 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 6 მიდლსბრო | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 1 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 7 ასტონ ვილა | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 |
| 8 ბოლტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 9 მანჩესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 10 ბლექბერნი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:7 | -2 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:6 | -2 | 3 |
| 11 ნიუკასლი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 |
| 12 ჰალი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:7 | -4 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:6 | -4 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 13 უიგანი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:3 | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 6:2 | 4 | 3 |
| 14 ფულემი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 15 სტოკი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | -2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 |
| 16 პორტსმუთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 3 |
| 17 ევერტონი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | -3 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 18 სანდერლენდი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 19 ტოტენჰემი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |
| 20 ვესტ ბრომვიჩი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | -2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უსტილო და საზიზღარი



ტიმო ჰილდებრანდი

**გერმანელ** მეკარეს ტიმო ჰილდებრანდს ბოლო პერიოდში კრიტიკა ერგო. ის „სანტიაგო ბერნაბეუზე", „ვალენსიას" „რეალთან" დამარცხების დღეს დაიწუნეს, რაზეც ის ჯერ არაფერს ამბობდა, მაგრამ შემდეგ პასუხის გაცემა გადაწყვიტა: სამაგიეროდ, სანტიაგო კანისარესს სტილი საერთოდ არ აქვსო.

დიახ, ჰილდებრანდი რამდენიმე კვირის განმავლობაში პრესასთან ურთიერთობას საერთოდ გაურბოდა და ჟურნალისტებს არც ამჯერად შეხვედრია, თუმცა თავისი მკვახე შეხედულებები ინტერნეტის მეშვეობით მაინც გააცნო მსოფლიოს. გერმანელმა ამისათვის საკუთარი ვებგვერდი გამოიყენა.

საქმე ის გახლავთ, რომ როდესაც გასული სეზონის ბოლოს კანისარესი გუნდიდან წავიდა, ჰილდებრანდს გაუხარდა, რადგან ეგონა, რომ ამიერიდან ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, კლუბმა ბრაზილიური „ინტერნასიონალიდან" რენანი შეიძინა და ჰილდებრანდის ბოძიკიც გაგრძელდა.

„პრესაში ფრიად მაკრიტიკეს და უნდა გითხრათ, რომ ეს კრიტიკა გამაღიზიანებელიც იყო — განაცხადა თავის ვებგვერდზე ჰილდებრანდმა — ხოლო, როდესაც ამ კრიტიკას სათავეში ჩემი ყოფილი თანაგუნდელი კანისარესი უდგას, აშკარაა, რომ საქმე ხასიათების დაჯახებასთან გვაქვს. მე თუ მკითხავთ, ამ მეკარეს საერთოდ არა აქვს სათამაშო სტილი, თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს. მე უფრო მაღლა უნდა დავდგე".

**ბაპუნა ძიდია**



# მიქაელ ლაუდრუპს სპარტაკიადა დაეწყო

**მოსკოვის** „სპარტაკის" მწვრთნელად მიქაელ ლაუდრუპი დაინიშნა. ლეგენდარულმა დანიელმა ფეხბურთელმა და ახლა უკვე მწვრთნელმა, რუსულ კლუბთან წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა.

შეგახსენებთ, რომ ლაუდრუპმა სამწვრთნელო კარიერა 2000 წელს დაიწყო დანიის ნაკრებში მთავარი მწვრთნელი თანაშემწედ. მერე „ბრონდბიუში" მუშაობდა 4 წელი, ხოლო გასულ სეზონში ესპანური „ხეტაფე" შთამბეჭდავად ათამაშა და არაერთი წინადადებაც მიიღო.

„სპარტაკი" კი აგვისტოში დატოვა სტანისლავ ჩერჩესოვმა კიევის „დინამოსთან" საერთო ანგარიშით 2:8 მარცხის მერე. მოსკოველებს აქამდე დროებით იგორ ლედიახოვი თავკაცობდა.

ამჟამად „სპარტაკი" რუსეთის ჩემპიონატში მეხუთე ადგილზეა და ლიდერ „რუბინს" 9 ქულით ჩამორჩება. ლაუდრუპის მთავარი ამოცანა გუნდისთვის ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა.

„დიდი კლუბისგან ძალიან სერიოზული წინადადება მივიღე და სიამოვნებით დავთანხმდი. მიმდინარე სეზონის დასრულებამდე კიდევ 10 მატჩი დარჩა და ჩვენი მიზანი მოწინავე ორეულში მოხვედრაა, რათა ჩემპიონთა ლიგაში გავიდეთ. ასევე სათამაშო გვაქვს უეფას თასზე და ვეცდებით, კარგი შედეგები ვაჩვენოთ" — თქვა 44 წლის ლაუდრუპმა.

**კოკი კანდელაკი**

| IV ტური |
| --- |
| **გუშინ** |
| აინტრახტი — კარლსრუე გადაიდო |
| **დღეს** |
| ვერდერი — კოტბუსი |
| ჰამბურგი — ლევერკუზენი |
| ჰერტა — ვოლფსბურგი |
| დორტმუნდი — შალკე |
| ჰოფენჰაიმი — შტუტგარტი |
| კიოლნი — ბაიერნი |
| **ხვალ** |
| ჰანოვერი — გლადბახი |
| ბოხუმი — არმინია |

# გერმანია
# ხუმრობა რურში

**132-ე რურული** დერბი დღეს დორტმუნდში გაიმართება. „შავ-ყვითლები" გელზენკირხენის „შალკეს" უმასპინძლებენ.

ორივე გუნდს შვიდ-შვიდი ქულა აქვს და ბუნდესლიგას „ჰამბურგთან" ერთად ლიდერობენ.

ბოლო 29 წელიწადში პირველადაა, რომ რურული დერბის მონაწილენი ცხრილში პირველ-მესამე ადგილზე არიან.

1979-შიც ასევე იყო, ოღონდ „დორტმუნდს" პირველი ადგილი ეკავა, „შალკეს" კი მესამე.

მასპინძელთა მწვრთნელს საქმე ასარჩევად აქვს, რადგან მეკარე ვაიდენფელერი, მცველი იუნ-პიო ლი, ნახევარმცველი ტინგა და მეგოლე ალექსანდერ ფრაი გამოკეთდნენ. დელრონ ბაკლი, დედე და პატრიკ ოვომოიელა კვლავაც მკურნალობენ.

„ძალიან მიხარია, რომ ფეხბურთელები გამოჯანმრთელდნენ და დიდი არჩევანი მაქვს, თუმცა ჯერ არ ვიცი, რა ტაქტიკას გამოვიყენებ „შალკესთან" მატჩში" — განაცხადა იურგენ კლოპმა.

„შალკეს" პერუელმა ფორვარდმა ჯეფერსონ ფარფარნმა ტრავმა მოიშუშა და ბუნდესლიგაში მისი დებიუტი, შესაძლოა, დღეს შედგეს.

„ხუმარებს" მეკარე მანუელ ნოიერიც დაშავებული ჰყავთ და მისი შემცვლელი მათიას შიობერიც. თუ მომჯობინება ვერცერთმა მოასწრო, დორტმუნდში 80 ათასი ქომაგის წინაშე კარში ჩადგომა 19 წლის რალფ ფაერმანს მოუწევს. გასულ კვირას „შალკეს" მეორე გუნდში მან 990 მაყურებლის თანდასწრებით ითამაშა.

„ფაერმანს სრულიად ვენდობი და საშიში არაფერია — თქვა „შალკეს" თავკაცმა ფრედ რუტენმა — ვიცი, რომ ეს გერმანიაში ერთ-ერთი უმთავრესი მატჩია, მაგრამ ამ თამაშის მოგება არც გაგვაჩემპიონებს და არც წაგება იქნება ტრაგედია. ბუნდესლიგა ხომ ახლახა დაიწყო".

1998 წლის შემდეგ „დორტმუნდმა" „შალკეს" შინ ცხრა მატჩიდან მხოლოდ ერთხელ (შარშან მაისში) მოუგო.

ლუკაშ პოდოლსკი „ბაიერნის" მაისურით დაბრუნდება კიოლნში, საიდანაც ორი წლის წინ გადავიდა მიუნხენურ კლუბში და დღემდე სათადარიგოდ რჩება.

მთელი ზაფხულის განმავლობაში პოდოლსკი „კიოლნში" გადასვლას ლამობდა, მაგრამ „ბაიერნმა" არ გაუშვა. 23 წლის მეგოლე მიროსლავ კლოზესა და ლუკა ტონის ჩრდილშია და ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებას ამაოდ ცდილობს.

იურგენ კლინსმანმა ცოტა ხნის წინ თქვა, რომ პოდოლსკი კვლავაც ნომერ მესამე ფორვარდია და სასტარტოში მოსახვედრად ბრძოლა მოუწევს.

„ბაიერნის" ფრანგი ლეგიონერი ფრანკ რიბერი გამოკეთდა, მაგრამ დღეს ალბათ არ ითამაშებს და, სავარაუდოდ, ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში გამოჩნდება. ჰამით ალთინთოფი და ვილი სანიოლი დაშავებულნი არიან.

აქვე ვთქვათ, რომ „კიოლნმა" მიუნხენის „ბაიერნს" ბოლოს ათი წლის წინ მიუნხენში მოუგო.

საინტერესო იქნება „ჰამბურგისა" და „ლევერკუზენის" მატჩი. ორივეს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები ჯანზე ჰყავს და ამ გუნდების ბოლო 15 შეხვედრიდან ფრედ მხოლოდ ორი დასრულდა.

ბუნდესლიგის დებიუტანტმა „ჰოფენჰაიმმა" პირველი და მწარე მარცხი (5:2) გასულ ტურში „ლევერკუზენისგან" იგემა, ახლა კი „შტუტგარტს" უმასპინძლებს და ქომაგის თვალში რეაბილიტაციას შეეცდება.

სტუმრებს დაშავებული ოსორიო, პარდო, ბაშთურქი და კაკაუ ვერ დაეხმარებიან.

აღსანიშნავია, რომ „ჰოფენჰაიმს" შინ 13 აპრილის შემდეგ არ წაუგია.
| 21:00 | 290 | ისტანბული-ანკარა | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 22:45 | 293 | ტრაბზონი-ბეშიქთაში | 2.65 | 3.20 | 2.50 | 1.44 | 1.28 | 1.40 |
| რუსეთი. პრემიერლიგა | | | | | | | | |
| 13 სექტემბერი | | | | | | | | |
| 14:00 | 294 | მოსკოვი-სპარტაკი | 3.40 | 2.90 | 2.20 | 1.56 | 1.33 | 1.25 |
| 17:00 | 296 | სატურნი-ტომსკი | 1.65 | 3.00 | 6.00 | 1.06 | 1.29 | 2.00 |
| 16:30 | 297 | ტერეკი-ზენიტი | 6.00 | 3.50 | 1.50 | 2.21 | 1.20 | 1.04 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 16:00 | 295 | რუბინი-დინამო | 1.80 | 3.00 | 4.75 | 1.12 | 1.30 | 1.83 |
| 17:30 | 298 | შინიკი-ამკარი | 3.10 | 2.80 | 2.40 | 1.47 | 1.35 | 1.29 |
| 15:00 | 299 | კრილია-ხიმკი | 1.45 | 3.60 | 7.50 | 1.03 | 1.21 | 2.43 |
| 20:00 | 300 | ნალჩიკი-ლოკომოტივი | 2.80 | 2.80 | 2.60 | 1.39 | 1.34 | 1.34 |
| 20:00 | 301 | ცსკა-ურურგია | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| | | პოლონეთი. I ლიგა | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 19:30 | 304 | გორნიკი-ოდრა | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 17:15 | 305 | ხლასკი-ბელხატუვი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 21:45 | 307 | პოლონია ბ-პოლონია ვ | 3.50 | 3.20 | 1.95 | 1.67 | 1.25 | 1.21 |
| 20:00 | 308 | ლეგია-არკა | 1.50 | 3.40 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.17 |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 303 | ვისლა-ლეხი | 1.70 | 3.40 | 4.35 | 1.13 | 1.22 | 1.90 |
| 18:45 | 306 | გურნიკი-პიასტი | 1.80 | 3.25 | 3.75 | 1.15 | 1.21 | 1.74 |
| | | ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 317 | ლიბერეცი-ზლინი | 1.60 | 3.60 | 5.70 | 1.10 | 1.24 | 2.20 |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 310 | ტეპლიცე-ბანიკი | 2.40 | 3.00 | 2.85 | 1.33 | 1.30 | 1.46 |
| 19:00 | 311 | პრშიბრამი-პლზენი | 2.65 | 2.90 | 2.65 | 1.38 | 1.32 | 1.38 |
| 16:30 | 312 | კლადნო-სიგმა | 3.00 | 3.00 | 2.35 | 1.50 | 1.31 | 1.31 |
| 22:00 | 313 | ბრნო-სპარტა | 3.00 | 3.00 | 2.35 | 1.50 | 1.31 | 1.31 |
| 12:15 | 314 | ჟიჟკოვი-ბოჰემიანსი | 1.70 | 3.40 | 5.00 | 1.13 | 1.26 | 2.02 |
| 19:00 | 315 | ბუდეიოვიცე-ბოლესლავი | 3.40 | 3.10 | 2.05 | 1.62 | 1.27 | 1.23 |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 316 | სლავია-იაბლონეცი | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| | | ჩეხეთი. II ლიგა | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 318 | ოლომოუცი-ოპავა | 2.40 | 2.90 | 2.85 | 1.31 | 1.30 | 1.43 |
| 12:15 | 319 | ტრინეცი-ხლუჩინი | 2.55 | 2.90 | 2.65 | 1.35 | 1.29 | 1.38 |
| 12:15 | 322 | ხოდონინი-სპარტა | 1.90 | 3.10 | 3.80 | 1.17 | 1.26 | 1.70 |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 321 | ნახოდი-ფულნეკი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| | | სლოვაკეთი. I ლიგა | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 326 | ტრნავა-სლოვანი | 2.10 | 2.95 | 3.15 | 1.22 | 1.25 | 1.52 |
| 21:00 | 327 | ზლატე მორავცე-დუბნიცა | 2.20 | 2.95 | 3.10 | 1.26 | 1.28 | 1.51 |
| 21:00 | 328 | პრეშოვი-სტრეჩნო | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 17:30 | 330 | პეტრჟალკა-ბ.ბისტრიცა | 1.50 | 3.55 | 5.90 | 1.05 | 1.19 | 2.21 |
| 22:15 | 331 | ჟილინა-რუჟომბეროკი | 1.30 | 4.35 | 8.10 | 1.00 | 1.12 | 2.83 |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 19:15 | 329 | ნიტრა-კოშიცე | 2.75 | 3.00 | 2.45 | 1.43 | 1.29 | 1.34 |
| | | ხორვატია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 20:00 | 332 | სლავენი-ოსიეკი | 1.65 | 3.45 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.95 |
| 20:00 | 333 | ციბალია-რიეკა | 2.50 | 3.15 | 2.55 | 1.39 | 1.26 | 1.40 |
| 20:00 | 334 | ზადარი-სესვეტე | 1.70 | 3.45 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.91 |
| 20:00 | 335 | ვარტექსი-ინტერი | 1.60 | 3.55 | 5.20 | 1.10 | 1.22 | 2.10 |
| 22:10 | 336 | ზაგრები-დინამო | 4.85 | 3.50 | 1.60 | 2.03 | 1.20 | 1.09 |
| 20:00 | 337 | ჰაიდუკი-შიბენიკი | 1.25 | 5.10 | 9.20 | 1.00 | 1.10 | 3.28 |
| | | სლოვენია. I ლიგა | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 22:00 | 339 | მარიბორი-გორიცა | 1.50 | 3.65 | 5.90 | 1.06 | 1.19 | 2.25 |
| 20:00 | 340 | პუბლიკუმი-ლუბლიანა | 2.30 | 3.15 | 2.85 | 1.32 | 1.27 | 1.49 |
| 18:00 | 341 | ნაფტა-კოპერი | 1.85 | 3.25 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.75 |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 338 | პრიმორიე-დრავა | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 20:30 | 342 | დომჟალე-ველენიე | 1.40 | 4.00 | 6.90 | 1.03 | 1.16 | 2.53 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 347 | ოლბორგი-ორჰუსი | 1.65 | 3.60 | 4.90 | 1.13 | 1.23 | 2.07 |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 344 | კოპენჰაგენი-ნორდშელანდი | 1.30 | 4.80 | 9.50 | 1.02 | 1.14 | 3.18 |
| 18:00 | 345 | ჰორსენსი-რანდერსი | 2.80 | 3.40 | 2.30 | 1.53 | 1.26 | 1.37 |
| 16:00 | 346 | მიდტიულანდი-ესბიერგი | 1.55 | 3.70 | 6.00 | 1.09 | 1.23 | 2.28 |
| 19:30 | 348 | ვეილე-ბრონდბიუ | 3.90 | 3.50 | 1.85 | 1.84 | 1.25 | 1.21 |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 343 | ოდენსე-სონდერიისკე | 1.25 | 5.10 | 12.00 | 1.00 | 1.13 | 3.57 |
| | | დანია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 349 | ვიბორგი-სილკებორგი | 2.50 | 3.30 | 2.50 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 15:00 | 350 | როსკილდე-ფრედერიცია | 4.00 | 3.60 | 1.75 | 1.89 | 1.21 | 1.17 |
| 15:00 | 351 | ტაასტრუპი-კოგე | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 15:00 | 352 | ფრემი-ლოლანდი | 1.65 | 3.60 | 4.35 | 1.13 | 1.19 | 1.96 |
| 17:00 | 353 | აკადემისკი-ჰვიდოვრე | 1.75 | 3.60 | 4.00 | 1.17 | 1.21 | 1.89 |
| 17:00 | 354 | ჰერფოლგე-ფრემადი | 1.80 | 3.50 | 3.70 | 1.18 | 1.21 | 1.79 |
| 17:00 | 355 | ნესტვედი-კოლდინგი | 2.00 | 3.50 | 3.10 | 1.27 | 1.21 | 1.64 |
| 17:00 | 356 | ლინგბი-სკივე | 1.55 | 3.70 | 5.50 | 1.09 | 1.20 | 2.21 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 362 | ტრომსო-ბოდო გლიმტი | 1.70 | 3.50 | 4.70 | 1.14 | 1.24 | 2.00 |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 22:00 | 357 | ფრედრიკშტადი-როზენბორგი | 2.50 | 3.30 | 2.60 | 1.42 | 1.27 | 1.45 |
| 20:00 | 358 | მოლდე-ლილესტრიომი | 2.45 | 3.30 | 2.75 | 1.40 | 1.29 | 1.50 |
| 20:00 | 359 | ჰამ კამი-ალესუნდი | 2.05 | 3.30 | 3.45 | 1.26 | 1.28 | 1.68 |
| 20:00 | 360 | სტაბეკი-სტრომსგოდსეტი | 1.40 | 4.30 | 7.00 | 1.05 | 1.16 | 2.66 |
| 20:00 | 361 | ბრანი-ვიკინგი | 2.05 | 3.30 | 3.40 | 1.26 | 1.27 | 1.67 |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 363 | ვალერენგა-ლინი | 2.40 | 3.30 | 2.70 | 1.38 | 1.27 | 1.48 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 368 | ნოტოდდენი-ოდ გრენლანდი | 3.50 | 3.50 | 2.00 | 1.75 | 1.27 | 1.27 |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 364 | ნიბერგსუნდი-სტარტი | 4.20 | 3.70 | 1.75 | 1.96 | 1.23 | 1.18 |
| 18:00 | 365 | ჰაუგესუნდი-სანდეფიორდი | 3.20 | 3.40 | 2.10 | 1.64 | 1.26 | 1.29 |
| 18:00 | 366 | სანდნესი-ლეონ ჰამი | 2.25 | 3.40 | 2.90 | 1.35 | 1.26 | 1.56 |
| 20:00 | 367 | სოგნდალი-ალტა | 1.50 | 4.00 | 6.50 | 1.09 | 1.21 | 2.47 |
| 18:00 | 369 | ბრინი-ჰოდი | 1.65 | 3.60 | 5.00 | 1.13 | 1.24 | 2.09 |
| 18:00 | 370 | მოსი-სარპსბორგი | 1.85 | 3.60 | 3.80 | 1.22 | 1.24 | 1.84 |
| 18:00 | 371 | კონგსვინგერი-ჰონეფოსი | 2.60 | 3.50 | 2.50 | 1.49 | 1.27 | 1.45 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 14:30 | 372 | აიკ-გეტებორგი | 2.30 | 3.30 | 2.90 | 1.35 | 1.28 | 1.54 |
| 18:00 | 374 | მალმო-ჰალმსტადი | 1.85 | 3.50 | 4.00 | 1.21 | 1.26 | 1.86 |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 373 | სუნდსვალი-ელფსბორგი | 3.60 | 3.40 | 1.95 | 1.74 | 1.26 | 1.23 |
| 15:00 | 376 | ჰამარბი-კალმარი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 19:00 | 377 | ნორჩიოპინგი-ჰელსინგბორგი | 4.00 | 3.40 | 1.85 | 1.83 | 1.26 | 1.19 |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 378 | გაის-ორგრიუტე | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| 21:00 | 379 | დიურგორდენი-ტრელებორგი | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 385 | მიალბი-ანგელჰოლმი | 1.70 | 3.55 | 4.30 | 1.14 | 1.21 | 1.94 |
| 18:00 | 387 | ქვიდინგი-ატვიდაბერგი | 1.80 | 3.45 | 3.80 | 1.18 | 1.22 | 1.80 |
| | | ფინეთი. ვეიკაუსლიგა | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 389 | კტპ-ტამპერე | 6.00 | 3.60 | 1.55 | 2.25 | 1.23 | 1.08 |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 19:30 | 390 | ჰიკ-ჰონკა | 2.00 | 3.25 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.68 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 391 | ჰაკა-იარო | 1.65 | 3.40 | 5.50 | 1.11 | 1.26 | 2.10 |
| 19:30 | 392 | ტურკუ-როვანიემი | 1.40 | 4.35 | 7.50 | 1.05 | 1.17 | 2.75 |
| 19:30 | 393 | ვპს-ინტერი | 4.00 | 3.30 | 1.85 | 1.80 | 1.26 | 1.18 |
| 19:30 | 394 | კუოპიო-მარიეჰამნი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 20:00 | 395 | ლაჰტი-მიუპა | 2.40 | 3.25 | 2.75 | 1.38 | 1.28 | 1.48 |
| | | ფინეთი. 2 ლიგა | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 16:00 | 397 | ტპვ ტამპერე-ტპ-47 | 2.30 | 3.25 | 2.70 | 1.34 | 1.24 | 1.47 |
| 16:00 | 398 | ოვეკოულუ-ოულუ | 2.00 | 3.25 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.63 |
| 16:00 | 399 | ჯაზი-ვიფკი | 1.90 | 3.30 | 3.55 | 1.20 | 1.23 | 1.71 |
| 17:00 | 400 | კემი-გრანკულა | 1.65 | 3.50 | 4.65 | 1.12 | 1.21 | 1.99 |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 16:00 | 401 | კპვ-ჰამეენლინა | 2.10 | 3.25 | 3.00 | 1.27 | 1.23 | 1.55 |
| | | ისლანდია. პრემიერ დივიზიონი | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 20:00 | 402 | ბრეიდაბლიკი-ფრამი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 20:00 | 403 | ფილკირი-კეფლავიკი | 5.00 | 3.60 | 1.60 | 2.09 | 1.21 | 1.10 |
| 20:00 | 404 | გრინდავიკი-ფიოლნირი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 20:00 | 405 | რეიკიავიკი-კოპავოგური | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 20:00 | 407 | ჰაფნარფიორდური-ვალური | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 20:00 | 406 | ტროტური-აკრანესი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| | | ირლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 22:00 | 616 | ლონგფორდი-ათლონე | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| | | იაპონია. J ლიგა | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 09:00 | 408 | ურავა-ოიტა | 1.80 | 3.40 | 3.75 | 1.17 | 1.21 | 1.78 |
| 10:00 | 409 | შიმიცუ-საპორო | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 11:00 | 410 | იოკოჰამა ფმ-კობე | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 13:00 | 411 | ტოკიო-ომია | 1.95 | 3.40 | 3.50 | 1.23 | 1.25 | 1.72 |
| 13:00 | 412 | კაშიმა-კავასაკი | 1.80 | 3.40 | 3.75 | 1.17 | 1.21 | 1.78 |
| 14:00 | 413 | გამბა-ნაგოია | 2.62 | 3.25 | 2.40 | 1.45 | 1.25 | 1.38 |
| 14:00 | 414 | კიოტო-ივატა | 1.95 | 3.40 | 3.50 | 1.23 | 1.25 | 1.72 |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 10:00 | 415 | ნიიგატა-კაშივა | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 14:00 | 416 | იჩიჰარა-ვერდი | 2.70 | 3.25 | 2.30 | 1.47 | 1.24 | 1.34 |
| | | აშშ. MLS | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 23:30 | 653 | ტორონტო-კოლამბუსი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 01:00 | 654 | კანზასი-ლოს ანჯელესი | 2.10 | 3.25 | 3.10 | 1.27 | 1.25 | 1.58 |
| 03:30 | 655 | ნიუ იორკი-სოლტ ლეიკი | 1.85 | 3.10 | 3.75 | 1.15 | 1.23 | 1.69 |
| 03:30 | 656 | ვაშინგტონი-დალასი | 1.75 | 3.40 | 4.35 | 1.15 | 1.24 | 1.90 |
| 06:00 | 657 | სან ხოსე-ჰიუსტონი | 2.30 | 3.25 | 2.75 | 1.34 | 1.25 | 1.48 |
| 23:00 | 658 | კოლორადო-ჩივასი | 2.30 | 3.25 | 2.75 | 1.34 | 1.25 | 1.48 |
| | | მექსიკა. კლაუსურა | | | | | | |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 04:00 | 417 | პაჩუკა-ჩივასი | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| 05:45 | 418 | ატლასი-პუებლა | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 06:00 | 419 | ატლანტე-კრუს აზული | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 01:50 | 420 | ხაგუარესი-ინდიოსი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 01:50 | 421 | სან ლუისი-ამერიკა | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 21:00 | 422 | მორელია-ტიგრესი | 1.85 | 3.40 | 3.80 | 1.19 | 1.24 | 1.79 |
| 21:00 | 423 | ტოლუკა-მონტერეი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 01:00 | 424 | სანტოსი-ნეკახა | 1.60 | 3.70 | 5.00 | 1.11 | 1.21 | 2.12 |
| | | არგენტინა. კლაუსურა | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 04:00 | 426 | ბანფილდი-კოლონი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 23:15 | 428 | ნიუელსი-ლანუსი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 01:50 | 429 | ხიმნასია ჟ-ურაკანი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 04:00 | 425 | რასინგი-ტიგრე | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 21:15 | 427 | სან მარტინი-გოდოი კრუზი | 1.85 | 3.40 | 3.80 | 1.19 | 1.24 | 1.79 |
| 21:15 | 430 | ველესი-ესტუდიანტესი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 23:15 | 431 | ბოკა ხუნიორსი-ინდეპენდიენტე | 1.55 | 3.70 | 5.50 | 1.09 | 1.20 | 2.21 |
| 01:20 | 433 | ხიმნასია ლპ-არხენტინოს ხუნიორსი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 01:20 | 434 | სან ლორენცო-როსარიო | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 01:40 | 432 | არსენალი-რივერ პლეიტი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| | | ბრაზილია. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 01:20 | 435 | გრემიო-გოიასი | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| 01:20 | 436 | იპატინგა-ატლეტიკო მგ | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 23:00 | 438 | კრუზეირო-პალმეირასი | 1.80 | 3.25 | 3.75 | 1.15 | 1.21 | 1.74 |
| 23:00 | 440 | სან პაულუ-ფლამენგო | 1.70 | 3.40 | 4.35 | 1.13 | 1.22 | 1.90 |
| 01:20 | 441 | ატლეტიკო პრ-პორტუგეზა | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 23:00 | 442 | სპორტ რესიფე-ფიგეირენსე | 1.55 | 3.50 | 5.15 | 1.07 | 1.19 | 2.08 |
| 23:00 | 444 | ვასკო და გამა-ნაუტიკო | 1.50 | 3.60 | 5.40 | 1.05 | 1.17 | 2.16 |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 01:10 | 437 | ვიტორია-კორიტიბა | 1.80 | 3.30 | 3.85 | 1.16 | 1.22 | 1.77 |
| 01:10 | 439 | სანტოსი-ფლუმინენსე | 1.75 | 3.35 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.82 |
| 01:10 | 443 | ბოტაფოგო-ინტერნაციონალი | 1.55 | 3.50 | 4.90 | 1.07 | 1.17 | 2.04 |
| | | ჩილე. აპერტურა | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 23:55 | 446 | კობრესალი-უნ.კატოლიკა | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 02:30 | 445 | პიგინსი-ნუბლენსე | 1.90 | 3.40 | 3.50 | 1.21 | 1.23 | 1.72 |
| 02:30 | 447 | სერენა-უ.კონსეფსიონი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 02:00 | 448 | აუდახს-რეინჯერსი | 1.85 | 3.40 | 3.80 | 1.19 | 1.24 | 1.79 |
| 22:30 | 449 | უნ.ჩილე-უაჩიპატო | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 22:30 | 450 | კობრელოა-მელიპილია | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 20:00 | 451 | უნ.ესპანიოლა-პალესტინო | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 20:00 | 452 | ევერტონი-მორნინგი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 22:30 | 453 | ანტოფაგასტა-კოლო კოლო | 4.30 | 3.40 | 1.70 | 1.89 | 1.21 | 1.13 |
| | | ირლანდია. თასი | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 22:30 | 642 | კორკი-დერი | 2.25 | 3.10 | 3.00 | 1.30 | 1.28 | 1.52 |
| | | შერეული | | | | | | |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 816 | ვლაზნია-აპოლონია(ალბ) | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 17:00 | 817 | ტირანა-პარტიზანი(ალბ) | 2.00 | 2.90 | 3.50 | 1.18 | 1.27 | 1.58 |
| 20:00 | 822 | ბოტევი-ლიტექსი(ბულგ) | 4.50 | 3.40 | 1.65 | 1.93 | 1.20 | 1.11 |
| 22:00 | 823 | ჩერნომორეცი-ლოკომოტივი ს(ბულგ) | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 22:00 | 824 | ლევსკი-ჩერნო მორე(ბულგ) | 1.35 | 4.10 | 7.50 | 1.01 | 1.14 | 2.65 |
| 17:00 | 825 | მტკ-დიორი(უნგ) | 1.95 | 3.10 | 3.35 | 1.19 | 1.23 | 1.61 |
| 22:00 | 826 | ვაშაში-პაკში(უნგ) | 1.80 | 3.20 | 3.90 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| 21:45 | 831 | ფარული-სტიაუა(რუმ) | 3.70 | 3.30 | 1.80 | 1.74 | 1.21 | 1.16 |
| 20:00 | 832 | ვასლუი-დინამო ბ(რუმ) | 2.40 | 3.10 | 2.55 | 1.35 | 1.23 | 1.39 |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 818 | დნეპრი-ბრესტი(ბელა) | 2.15 | 2.90 | 3.20 | 1.23 | 1.28 | 1.52 |
| 18:00 | 819 | ნაფტანი-ბატე(ბელა) | 3.50 | 3.10 | 1.95 | 1.64 | 1.25 | 1.19 |
| 19:00 | 820 | დარიდა-ვიტებსკი(ბელა) | 5.50 | 3.50 | 1.50 | 2.13 | 1.17 | 1.04 |
| 20:00 | 821 | ნემანი-მტზ რიპო(ბელა) | 4.30 | 3.20 | 1.75 | 1.83 | 1.24 | 1.13 |
| 15:00 | 827 | სკონტო-დაუგავა(ლატ) | 1.55 | 3.40 | 5.20 | 1.06 | 1.19 | 2.05 |
| 17:00 | 828 | ბლაზმა-იურმალა(ლატ) | 3.40 | 3.00 | 2.00 | 1.59 | 1.25 | 1.20 |
| 17:00 | 829 | სუდუვა-ატლანტასი(ლიტ) | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 20:00 | 830 | ვეტრა-ეკრანასი(ლიტ) | 2.50 | 3.10 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |

# არ მინდა რუსეთი, საქართველოში მინდა

## ლეგიონერ რევაზ ჩომახიძეს ლეგიონერი არ სჭირდება



საქართველოს დუხჭირმა ცხოვრებამ რა გასაკვირია პრობლემები, რომ სპორტშიც მოიტანა და ისე მოხდა, რომ ძალიან ბევრმა სპორტსმენმა სხვა ქვეყნის სახელით გადაწყვიტა გამოსვლა. ამათგან ისეთებიც იყვნენ, გვარიანი სიტყვა რომ თქვეს სპორტულ სამყაროში და მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ. „მამლუქი" სპორტსმენებიდან თუ ვინმეზე იტყვი, წარმატებული კარიერა ჰქონდაო, ერთ-ერთი უთუოდ 35 წლის წყალბურთელი რევაზ ჩომახიძეა, ვინც რუსეთის ნაკრებთან ერთად 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა, 2004 წელს კი ათენში ბრინჯაოს გამოჰკრა ხელი. ალარაფერს ვამბობთ შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვან ტიტულებზე, რომლებიც ჩომახიძეს უხვად აქვს...

რევაზ ჩომახიძეს რომ დავურეკეთ, თავიდან საკლუბო ამბები გამოვკითხეთ. რეზო რუსეთის „შტურმის" ლიდერია და 2005-06 წლებში ზედიზედ ორჯერ ჩემპიონიც გახდა. მერე კი, ბუნებრივია, სხვა საკითხებსაც გადავწვდით. მით უფრო, რომ ამ ბოლო დროს მასთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა — ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის კანდიდატმა გია ნაცვლიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, ჩემი პრიორიტეტი გაპრეზიდენტების შემთხვევაში წყალბურთის ნაკრების ლონდონის ოლიმპიადაზე მოხვედრა იქნება და ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა რევაზ ჩომახიძეს შეუძლია, ვინც ნაკრებს თავისი სურვილის შემთხვევაში გაწვრთნისო...

— რუსეთის ჩემპიონატი 20 სექტემბერს იწყება და ასე მაისის შუა რიცხვებამდე გასტანს — *გვიამბობს რევაზ ჩომახიძე.*

— ჩემპიონატში ათი გუნდი თამაშობს და აქედან ოთხი სხვებზე შედარებით ძლიერია. საერთოდ კი, საკმაოდ ძლიერი პირველობაა. ჩემი გუნდი, „შტურმი", წლეულსაც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. მთავარი კონკურენტი კი „კაზანის სინთეზი" იქნება. ყაზანელები მაგრად გაძლიერდნენ, რამდენიმე მოთამაშე დაიმატეს. ჩვენ კი იგივე შემადგენლობით მოგვიწევს თამაში. მართალია, გაგვიჭირდება, მაგრამ ოქროსთვის ბრძოლას მაინც ვაპირებთ. ოთხეულში აუცილებლად მოვხვდებით და იქ პლეი ოფში ყველაფერი თავიდან იწყება.

**— რატომ არ დაიმატეთ მოთამაშეები? იქნებ ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ ეს შემადგენლობა საკმარისი იყო ჩემპიონობის მოსაპოვებლად?**

— ასე გადაწყვიტეს და ვერ გეტყვით, რატომ. თან მარტო ჩემპიონობისთვის არ ვაპირებთ ბრძოლას, გვინდა, რომ ჩემპიონთა ლიგაში მინიმუმ ოთხეულში მოვხვდეთ და ვნახოთ, რა გამოვა. ისე, მოთამაშეები რომ არ დავიმატეთ, ამას თავისი დადებითი მხარეც აქვს. ბიჭები, ვინც გუნდში ვართ, წლებია, ერთად ვთამაშობთ და საკმაოდ კარგად ვუგებთ ერთმანეთს. შეთამაშებულები ვართ და ეს მნიშვნელოვანი ფაქტია.

**— რამდენად ხშირად გიწევს თამაში. ისე ხომ არ ხდება, რომ ნაკლებად პრინციპულ თამაშებში გასვენებენ და მთავარი ბრძოლებისთვის გამზადებენ. უკვე 35 წლის ხარ...**

— არა. ყველა მატჩში მაქსიმალურად მიწევს დახარჯვა. აქ თვლიან, რომ უნდა ვითამაშო, რადგან გუნდისთვის საჭირო წყალბურთელი ვარ. ესეც არ იყოს, შედარებით ახალგაზრდები გამოცდილებისგან ბევრს სწავლობენ, მაგალითს იღებენ.

**— უკვე წლებია, „შტურმში" თამაშობ, სხვა გუნდებიდან არ გქონია შემოთავაზებები?**

— როგორ არა, იტალიური ვარიანტი იყო და სწორედ ჩვენი კონკურენტი „კაზანის სინთეზი" მიწვევდა, მაგრამ აქ დარჩენა ვამჯობინე. კონტრაქტში ერთი ხელი მაქვს დარჩენილი და მერე ვნახოთ, შეიძლება სულაც დავანებო თამაშს თავი. თუმც ამ გადაწყვეტილებას სეზონის ბოლოს მივიღებ.

**— რუსეთის ნაკრებზეც გკითხავთ, ცოტა მოულოდნელი იყო, ოლიმპიადაზე რომ ვერ გავიდნენ...**

— ვფიქრობ, ეს ფედერაციის შეცდომების გამო მოხდა, თორემ აქ ნამდვილად აქვთ იმის პოტენციალი, რომ პეკინში წასულიყვნენ. რუსული გუნდები ევროთასებზეც კარგად გამოდიან, მაგრამ რად გინდა. ძალიან ბევრმა გამოცდილმა მოთამაშემ ნაკრებში თამაშზე უარი თქვა და ამანაც იქონია გავლენა წარუმატებლობაზე. მეც გარკვეული მიზეზების გამო წამოვედი ნაკრებიდან. ერთ-ერთი ფაქტორი მწვრთნელიც იყო...

**— ოლიმპიადას როგორ შეაფასებ, ლოგიკურად განვითარდა მოვლენები თუ მოულოდნელობებიც იყო?**

— ჩემი აზრით, ყველაფერი ლოგიკურად მოხდა. ერთი, რაც ცოტა გასაკვირი იყო, მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონების, ხორვატების არცთუ წარმატებული თამაშია. სხვათა შორის, ზოგი ამბობდა, რომ აშშ-ს ფინალში გასვლა მოულოდნელი იყოო, მაგრამ მე ასე არ ვთვლი. ამერიკელები ორი წელი სტაბილურად თამაშობდნენ და ფინალში გასვლაც დაიმსახურეს. უნგრეთის ჩემპიონობაზე ალარაფერს ვამბობ. უძლიერესი ნაკრები ჰყავთ და ოქროს მედლებიც ღირსეულად მოიპოვეს.

**— მოდი, ქართულ წყალბურთსაც შევეხოთ. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა გია ნაცვლიშვილმა თქვა, თუ პრეზიდენტი გავხდები, სერიოზულად ვიზრუნებ, რომ წყალბურთის ნაკრები ლონდონის ოლიმპიადაზე გავიდესო და ამ საქმეში დიდი როლი შენ გენიჭება, თუ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობას დათანხმდები...**

— ჩემთან კონკრეტული საუბარი არ ყოფილა, თუმცა ყოველთვის ვამბობდი, რომ მზად ვიყავი საქართველოში ჩამოსასვლელად. გადაწყვეტილებასაც მას შემდეგ მივიღებ, როცა ზუსტად მეცოდინება, რა გეგმები აქვთ.

ეს არ უნდა იყოს მოკლე დროზე გათვლილი პროექტი. აუცილებელია, რომ მიდგომა შეიცვალოს წყალბურთის მიმართ. საჭიროა, შეიქმნას გუნდები იმისთვის, რომ ბავშვები გაიზარდნონ და კონკურენციაც იყოს. იმაზე არაა საუბარი, რომ აუზია საჭირო და ლეგიონერების უზრუნველყოფა, როდესაც ნაკრებში სათამაშოდ წამოვლენ.

**— რამდენად რეალურია, რომ საქართველოს ნაკრები ლონდონის ოლიმპიადაზე მოხვდეს. მით უმეტეს, ყველაფერი თითქმის თავიდანაა დასაწყები...**

— საქართველოში მართლა დიდი პოტენციალია და ამას გამოყენება უნდა. გამორიცხულიც არაფერია, მაგრამ მუშაობაა საჭირო. ეტაპობრივად უნდა მოხდეს ყველაფერი. ბიჭებს არ ვიცნობ კარგად, ვინც ახლა ნაკრებში თამაშობს. თუ ვნახავ მერე უფრო გამიიოლდება პროგნოზის გაკეთება. ისე კი, ვიმეორებ, ქართულ წყალბურთში დიდი პოტენციალია.

**— ისიც ითქვა, რომ თავიდან გარკვეული პერიოდი მოთამაშე-მწვრთნელი იქნები და თუ საჭირო გახდა, რამდენიმე წყალბურთელის ნატურალიზებაც მოხდება.**

— არა მგონია, ჩემი თამაში საჭირო იყოს და მით უმეტეს, ვინმეს ჩამოყვანა. ჩვენი რესურსებიც საკმარისია. შეიძლება გარკვეული დროით ვინმე ჩამოიყვანო კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად, მაგრამ საერთოდ, საქართველოს ნაკრებში ქართველებმა უნდა ითამაშონ, იმიტომ რომ ეს სპორტი ქართულიცაა და შეგვიძლია მისი თამაში.

**— ნაკრები მთელი წლის მანძილზე მხოლოდ უკრაინის ღია პირველობაზე აზერხებს თამაშს. ეს საკმარისი არ იქნება სათანადოდ მოსამზადებლად, თუ B დივიზიონში თამაშს გადავწყვეტთ. როგორ უნდა მოხდეს ამ პრობლემის გადაჭრა?**

— ყველაფერი ეტაპობრივად უნდა დაიგეგმოს და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი ამხანაგურ თამაშების ჩატარება იქნება. ნაკრებს შეთამაშება და გამოცდილების მიღება აუცილებლად სჭირდება. ამის პრობლემა არ იქნება, რადგან ყოველთვის ტარდება ტურნირები, სადაც მონაწილეობის და გამოცდილების მიღება თავისუფლად შეიძლება.

**— და მაინც, როდის მიიღებთ გადაწყვეტილებას, დათანხმდებით თუ არა საქართველოს ნაკრების მწვრთნელობას?**

— ვიმეორებ, ჩემთან კონკრეტული საუბარი არ ყოფილა. თუ მივიღებ კონკრეტულ წინადადებას, მაშინ გადაწყვეტილებასაც არ დავაყოვნებ. ყოველთვის თანახმა ვიყავი საქართველოში ჩამოსვლაზე. ნაკრების მწვრთნელად რომც არ დავინიშნო, კარიერის დამთავრების შემდეგ მაინც სამშობლოში დავბრუნდები საცხოვრებლად, რადგან რუსეთში დარჩენას არ ვაპირებ!..

**ლექსო მაისურაძე**



# დუბლინური მონაყოლი

## საქართველოს სტუმრად ვერ ვნახავთ







*6 სექტემბრიდან მოყოლებული, საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა უკვე მოასწრო ორი შეხვედრის გამართვა — ლუქსემბურგთან და ირლანდიასთან და, რაც ყველაზე მთავარია, ორივე მატჩი მოიგო. ახლა ჩვენს ნაკრებს კიდევ ორი თამაში დარჩა სლოვაკეთთან და შვედეთთან, რის შემდეგაც ვაისამდე შეისვენებს. საქართველოს ორივე თამაშს დაესწრო კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა, რომლებიც გუშინ დილით სამშობლოში დაბრუნდნენ და ლამე ისევ უნდა გამგზავრებულიყვნენ საზღვარგარეთ. გუშინ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა და ვიცე-პრეზიდენტმა ლაშა ძიძავამ პრეს-კონფერენცია გამართეს, რომელზეც შეაჯამეს ნაკრების მიერ ჩატარებული თამაშები და ნაკრებში შექმნილი სიტუაციაც მიმოიხილეს...*

**ბესიკ ლიპარტელიანი:**

— ირლანდიასთან შეხვედრისას მოხდა ისეთი რამ, რის გამოც დარბაზში მწყობრიდან გამოვიდა მთელი კომპიუტერული სისტემა. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ფაქტობრივად არ არსებობს ამ მატჩის სრული ოქმი. ამიტომ სტატისტიკურ მაჩვენებელში ხელი ჩაწერისას ირლანდიელებმა შეცდომა დაუშვეს. სიმართლე რომ გითხრათ, ამას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს. მთავარია ის შედეგი და თამაშის ხარისხი, რომელიც საქართველოს ნაკრებმა აჩვენა. დამერწმუნეთ, ეს იყო ძალიან სასიამოვნო სანახავი მატჩი, უამრავი ლამაზი და ეფექტური მომენტით, ქართველ კალათბურთელების შესრულებით.

ლუქსემბურგთან და ირლანდიასთან თამაშებში გამოჩნდა რომ საქართველოს ნაკრები შეკრული გუნდია და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიურად არის კარგად მომზადებული. ალბათ დამეთანხმებით, რომ ძალიან ძნელია ერთი თვის მანძილზე სულ შეკრებაზე ყოფნა და თანაც სამშობლოსგან მოშორებით. ეს უდიდესი ფსიქოლოგიური სტრესია. ამის მიუხედავად, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა შეძლო გუნდის კარგად შეკვრა და მომზადება. ეს არის მთავარი. თუმც რეალურად საქართველოს ნაკრების ძალა სლოვაკეთთან და შვედეთთან შეხვედრებში გამოჩნდება. ისინი არიან ჩვენთან ერთად ჯგუფის ფავორიტები. ძალიან სამწუხაროა, რომ წლეულს ნაკრების ოთხი შეხვედრიდან ქართველი მაყურებელი ერთსაც ვერ ნახავს.

სამწუხაროდ, არც ერთი ადგილობრივი ტელევიზია, არც სლოვაკური და არც შვედური, არ გადასცემს ამ თამაშების რეპორტაჟს და შესაბამისად ვერც ჩვენ ვყიდულობთ მისი ჩვენების უფლებას. არადა, ამაზე საზოგადოებრივი მაუწყებელი ვმუშაობდით. ადრე მსგავსი პრობლემები არ შეგვქმნია, ასეთი რომ არასოდეს მომხდარა. ნაკრების ოთხი გასვლით თამაშიდან ვერც ერთს ვერ ვაჩვენებთ. ძალიან საწყენია, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია.

**ლაშა ძიძავა:**

ირლანდიასთან დუბლინური მატჩისას დარბაზში მაყურებლის ნახევარი ქართველი იყო, ადგილობრივმა დიასპორამ საოცრად გვიგულშემატკივრა, რაზეც ბიჭებმა მადლობა კარგი თამაშით და დიდი ანგარიშით მოგებით გადაუხადეს. ჩვენი მხრიდან კი მინდა, ირლანდიაში მყოფ ქართველობას უდიდესი მადლობა მოვახსენო. ახლა რაც შეეხება თამაშებს. მომდევნო ორი მატჩი სლოვაკეთთან და შვედეთთან ძალიან მნიშვნელოვანია. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მათ მოსაგებად. ამით მომავალი წლისთვის კარგ პირობას შევიქმნით და შემდეგ სიტუაციისამებრ ვიმოქმედებთ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ჯერ პლეი ოფში გავიდეთ, შემდეგ კი თავიდან ავიცილოთ ჩერნოგორიასთან შეხვედრა. ეს გუნდი საოცარი სისწრაფით იზრდება და მისი გამჩერებელი ჩვენს დონეზე კი არა, ელიტაშიც ბევრი გუნდი არ მეგულება.

წელს საქართველოს ნაკრების ბოლო პერიოდის ისტორიაში პირველად მოხდა ისე, რომ გუნდი სრული შემადგენლობით უკვე თვეზე მეტია, რაც ვარჯიშობს. გუნდში ძალიან ჯანსაღი სიტუაციაა და ეს დიდწილად კოკოშკოვის დამსახურებაა, რომელმაც მოახერხა გუნდს ერთ მუშტად შეკვრა. მან ყველას მოსთხოვა საქმისადმი პროფესიული მიდგომა. მისთვის სახელები არაა მთავარი, მხოლოდ შედეგია მნიშვნელოვანი. ამისთვის კი არაფერზე არ დაიხევს უკან. მას ბიჭებიც აჰყვნენ.

**ბესიკ ლიპარტელიანი:**

— ადრე საქართველოს ნაკრებს გასვლითი შეხვედრების თამაში უჭირდა. ეს ბოლო წლებშიც კარგად ჩანდა. სტუმრად მოგებულ მატჩებში დიდი სხვაობა იშვიათად ფიქსირებულია ხოლმე. ახლა ირლანდიას 17 ქულით ვძლიეთ.

ბოლო პერიოდში მთავარი მწვრთნელის მუშაობით მოხდა ის, რომ ნაკრებში არ არის ერთი გამოკვეთილი ლიდერი, ყველა თამაშში სხვადასხვა კალათბურთელი არის სხვებზე შედეგიანი.

**გიორგი არაბული**

---

**საქართველოს ნაკრებმა უკვე ორი საკვალიფიკაციო მატჩი მოილია — ლუქსემბურგშიც მოიგო და ირლანდიაშიც და ამ მატჩებში საუკეთესო ბომბარდირი არც ზაზა ფაჩულია გამხდარა, არც ტაირონ ელისი, არც ნიკა ცქიტიშვილი და არც ჩვენი ეროვნული გუნდის რომელიმე ლეგიონერი წევრი. ორი მატჩის ჯამში 51 ქულა გასულ სეზონში თბილისის „დინამოში" ნათამაშებმა ვიქტორ სანიკიძემ მიითვალა, რომელიც მანამდე გამართულ ამხანაგურ მატჩებში უხვქულიანობით ვერ დაიკვეხნიდა. ამასთან, სანიკიძემ ორივე მატჩში ორმაგი დუბლი შეასრულა, ანუ მეტოქეებისთვის ალბათ ყველაზე სახიფათო მოიერიშეა. ვიქტორ სანიკიძე ახლა სლოვაკეთშია და დღეს პრიცნიპული მატჩი ელის სლოვაკეთთან. მასთან ინტერვიუ კი საინტერესო უნდა იყოს ქართველის ქომაგისთვის...**

# ჩასაფრებული სანიკიძე კლუბებს აიწონა-დაიწონას ეთამაშება

— ვიქტორ, რას იტყვი განვლილ მატჩებზე, როგორ შეაფასებდი მათ?

— ორივე თამაში მოვიგეთ და თავისთავად კმაყოფილი ვარ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გუნდმა ძალიან შეკრულად ითამაშა. ბიჭები კარგად ვართ შეთამაშებულნი და ამიტომაც იყო, რომ არც ლუქსემბურგთან გაგვჭირვებია და არც ირლანდიასთან.

— ამ მატჩებში საუკეთესო შენ იყავი, არადა, მოსამზადებელ მატჩებში ლიდერობას სხვები ითავსებდნენ...

— არ ვიცი, ნამდვილად არ ველოდი, რომ ამდენ ქულას და მოხსნას მოვაგროვებდი. ტრავმა ახალი მორჩენილი მქონდა, ნაკრების შეკრება რომ დაიწყო და მოსამზადებელ მატჩებშიც ისეთი არაფერი მიქნია, რომ ხალხი გამეოცებინა. ოფიციალური მატჩებისთვის კი ალბათ უფრო მეტად დავიმუხტე, მეტი პასუხისმგებლობა მქონდა, მოგების დიდი სურვილი და შედეგიც სახეზეა. ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა ის, რომ ჩვენს გუნდში ერთსულოვნება და თანაბრობაა. ნებისმიერს შეუძლია, ლიდერობა ითავოს. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია. გუნდურად ვთამაშობთ და მეტოქემ არ იცის, რომელი მოთამაშისგან უნდა ელოდოს ყველაზე მეტ საფრთხეს.

— ადრე ასე არ იყო?

— არა, შარშან და იმის წინ გუნდს ჰყავდა გამოკვეთილი ლიდერები, რომლებიც ძალიან სახიფათონი იყვნენ მეტოქისთვის და ძალიანაც ეხმარებოდნენ გუნდს, მაგრამ მეტოქეს ჩვენს გასაშიფრად ნაკლები ძალისხმევა სჭირდებოდა. ახლა კი სხვა ვითარებაა და ეს შედეგშიც აისახა.

— ირლანდიასთან მატჩში 31 ქულა კი დააგროვე, მაგრამ რამდენი მოხსნა გქონდა. ეს არ ვიცით. თამაშის დასაწყისში მატჩის მდივნებს აპარატურამ უმტყუნა და...

— ჰო, ეგ მართლაც უცნაური ამბავია. ასეთი დონის მატჩზე რომ სტატისტიკა ვერ დაითვალონ. პირველად მესმის. თუმცა ყველაფერი ხდება და იმედი მაქვს, მალე აღადგენენ სრულ სტატისტიკას. რაც შეეხება ჩემს მოხსნებს, არ ვითვლიდი, მაგრამ ათზე მეტი რომ მომიგროვდებოდა, ამაში დარწმუნებული ვარ.




— ახლა სლოვაკეთთან მომავალ მატჩზეც გვითხარი...

— ბოლო ტურში სლოვაკებმა შვედეთთან ქულით წააგეს და ჩანს, რომ ჩვენც ბოლომდე გვებრძოლებიან. ისე, ჩვენ სლოვაკების მოგება გვაწყობდა, რადგან შვედეთი ფაქტობრივად ამოვარდებოდა პირველობისთვის ბრძოლიდან. ახლა ჩვენს მთავარ კონკურენტად ისევ რჩება შვედეთი. თუმცა ახლა მაგაზე არავინ ფიქრობს, წინ სლოვაკეთი გველის და რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავიმარჯვოთ.

— შანსებს როგორ შეაფასებ?

— სლოვაკებს ჰყავთ ერთი გამოკვეთილი ლიდერი, რადოსლავ რანჩიკი, რომელსაც თუ გავაჩერებთ, გამარჯვებას ალბათ იოლად მივაღწევთ. რაც არ უნდა იყოს, ჩვენ საბრძოლველად მზად ვართ და იმედი მაქვს, ყველაფერი საქართველოს ნაკრების სასიკეთოდ დასრულდება.

— გუნდში როგორი განწყობაა?

— საბრძოლო. გუშინ ჩამოვედით ირლანდიიდან, ცოტა კი დავიღალეთ, მაგრამ დასვენების დროც საკმარისად გვქონდა. ხვალ დილას იმ დარბაზში ვივარჯიშებთ, სადაც საღამოს სლოვაკეთს ვეთამაშებით.

— ოთხივე მატჩის თამაში რომ სტუმრად გიწევთ, ეს უარყოფითი მომენტი ხომ არაა?

— რთულია, რა თქმა უნდა, მაგრამ რა ვუყოთ, ასე მოგვიხდა და ამის გამო ახლა ნერვიულობა არ იქნება გამართლებული. ძალიან დამრთგუნველი იყო ოჯახებიდან ომის პერიოდში წამოსვლა და ამდენი ხანი სამშობლოს გარეთ ყოფნა, მაგრამ ეს სპორტული, გუნდური თვალსაზრისით ეგებ დადებითი მომენტიც იყოს. ამდენი ხანი ერთად ყოფნა ხომ გუნდს კრავს, აერთიანებს და შეთამაშების მხრივაც ნაკლები პრობლემა იჩენს თავს.

— ასეთი წარმატებულად თამაში ალბათ შენს საკლუბო საქმეებზეც კარგ გავლენას იქონიებს. ახლა ხომ უგუნდოდ ხარ...

— არაერთი კარგი ვარიანტი მაქვს და ნაკრების თამაშები რომ მორჩება, დავფიქრდები, ავწონ-დავწონი შემოთავაზებებს და რომელიც ჩემთვის უკეთესი იქნება, იმ კლუბში წავალ.

**რამაზ ყაველაშვილი**



ლევან ახვლედიანი საქა-რთველოსთან ერთად

# გეორ-გია სპონსორს ბრაზილიაში ეძებს

პეკინის ოლიმპიადაზე ქართული დელეგაციიდან ერთ-ერთი გამორჩეული პლაჟის ფრენბურთელები იყვნენ. ბიჭებმა გეორ-გიამ სულაც გვარიან სენსაციას გამოჰკრეს ხელი და ნახევარფინალს უწიეს. გოგონების საქა-რთველოს მთავარი გმირობა კი ჯგუფში რუსების, ურიადოვა-შირიაევას დამარცხება იყო. გუშინ სპორტის დეპარტამენტში ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა პრესკონფერენცია გამართა და განვლილ ოლიმპიადაზე გეორ-გიასა და საქა-რთველოს გამოსვლა შეაფასა...

*ლევან ახვლედიანი:* გოგონებით დავიწყებ და გეტყვით, რომ მათი პეკინში მოხვედრა უკვე დიდი წარმატება იყო. იქ კი საქა-რთველომ ძალიან გაგვახარა რუსების დამარცხებით. მე თამაშის წინ ვუთხარი გოგონებს, რომ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა ფსიქოლოგიურად ზედმეტად არ გადავტვირთე. მათ ისედაც გათავისებული ჰქონდათ ამ თამაშის მნიშვნელობა. 200 ჟურნალისტი დაესწრო თამაშს და ასეთი რამ იქ არ ყოფილა ფინალზეც კი. გოგონების გამოსვლას დადებითად შევაფასებ.

გეორ-გიამ წაგებებით დაიწყო, მაგრამ მერე თამაში გამოასწორა და ნახევარფინალშიც გავიდა. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ბიჭები მარცხის შემდეგ თამაშს გამოასწორებდნენ და ასეც მოხდა. ნახევარფინალში ამერიკელებთან კი მაინც ფსიქოლოგიურად ვერ განეწყვნენ. პეკინში ვინც მხდევბოდა, ყველა მილოცავდა ასეთ წარმატებას...

ორშაბათს ბრაზილიაში მივდივარ, რადგან სპონსორების თაობაზეა პრობლემები. გოგონები ჩვენი სახელით თამაშს გააგრძელებენ, ბიჭების ამბავი კი ჯერ გადასაწყვეტია. რაღაც დეტალებია გასარკვევი. შეიძლება ბრაზილიელი სპონსორიც გამოჩნდეს, მაგრამ ეს სირცხვილია. მათ მაისურაზე ქართული კომპანიების ქართული წარწერა უნდა ჰქონდეთ...

**ნიკა ძოპაძე**



# ქართული რეკორდი ევროპაში მეხუთეა
## ასკურავებმა რბოლაც იციან




**პოლონეთის** ქალაქ პრუშკოვში იუნიორთა და ახალგაზრდათა ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. საქართველოს ერთადერთმა წარმომადგენელმა დავით ასკურავამ 200 მეტრზე გაქანებით რბოლაში მე-5 ადგილი დაიკავა. ტურნირზე 24 ქვეყნის სამასამდე ველომრბოლი გამოდიოდა და ჩვენებურს მხოლოდ ორმა ინგლისელმა და ორმა ფრანგმა სპორტსმენმა გადაასწრო.

18 წლის დავით ასკურავამ 200-მეტრიან დისტანციაზე 10,89 წთ აჩვენა. ეს დრო კი იუნიორებში საქართველოს ახალი რეკორდია. ასკურავამ საქართველოს რეკორდი 1000-მეტრიან დისტანციაზეც დაამყარა. მისი დრო 1,7 წთ იყო. ევროპის ჩემპიონატზე დავით ასკურავა სულ ოთხ სახეობაში გამოვიდა — 200 მეტრი გაქანებით, ადგილიდან 1000 მეტრი, სპრინტერული რბოლა და კეირინი.

ახალგაზრდა ქართველმა ველომრბოლმა ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელი ეტაპიც ნაყოფიერად განვლო. აპრილში ჯერ მოსკოვის თასზე იასპარეზა საკმაოდ შედეგიანად, შემდეგ ტულაში მოიგო საერთაშორისო „დიდი პრიზი". უკრაინის თასზეც გამოვიდა და თურქეთში საგზატკეცილო რბოლაშიც აჯირითა ველოსიპედი. დათო მომზადების თბილისურ ეტაპზე მწვრთნელებმა მინა მეიშვილმა, ალბერტ თავაძემ და თემურ გეჯაძემ ავარჯიშეს.

**ზურაბ მიგრიაული**



QUARTZITE

# საქართველო ფავორიტობას კისრულობს გამოუშვით რუსეთი



საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები დღეს პოლონეთის ქალაქ სოპოტში მიემგზავრება ევროპის ჩემპიონატზე სათამაშოდ. ახალგაზრდა ბორჯღალოსნები ტურნირამდე ერთკვირიან შეკრებას ადგილზევე გაივლიან და უკვე 21 სექტემბერს პირველ შეხვედრას გამართავენ ჰოლანდიის ნაკრებთან. ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელ **დავით ჩავლეიშვილს** საქართველოს რაგბის კავშირში შევხვდით. იგი წინასამგზავრო გაწამაწიაში იყო, მაგრამ ჩვენთან ინტერვიუსთვის დრო მაინც გამონახა...

— როდის შეკრიბეთ 19-წლამდელთა ნაკრები და კმაყოფილი ხართ თუ არა მოსამზადებელი პერიოდით?

— პირველად ივლისის ბოლოს შევიკრიბეთ, მაგრამ შემდეგ იძულებითი პაუზის გაკეთება მოგვიხდა. მომზადების მეორე ეტაპი კი 18 აგვისტოდან დავიწყეთ. მალთაყვაში გვინდოდა შეკრების ჩატარება, მაგრამ საომარი მოქმედების გამო ვერც ეს მოვახერხეთ. ისლა დაგვრჩენოდა, რომ თბილისში გვევარჯიშა არასრული დატვირთვით. აქედან გამომდინარე, მოსამზადებელი პერიდით უკმაყოფილო ვარ.

— თბილისში ჩატარებულ ვარჯიშებზე აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე გააკეთეთ, თუ ტაქტიკურსა და ხელით თამაშზე?

— თბილისში მხოლოდ უბრალო ვარჯიშები ჩავატარეთ. განსაკუთრებული ყურადღება არც ერთი კომპონენტისთვის არ მიგვიქცევია.

— სოპოტის შეკრებაზე რა მხრივ დატვირთავთ თქვენს მორაგბეებს?

— ჩემი ბიჭები ფიზიკურად მეტნაკლებად კარგ ფორმაში იმყოფებიან. პოლონურ შეკრებას უფრო ტაქტიკური მომზადებისთვის და კომბინაციების დამუშავებისთვის გამოვიყენებთ.

— საპოლონეთო შემადგენლობა ოპტიმალურია?

— შემადგენლობა ნამდვილად ოპტიმალურია, ვფიქრობ, საქართველოში ამ ასაკის ყველაზე საუკეთესო და ნიჭიერი მორაგბე შევკრიბეთ.

— ტრავმები ხომ არ აწუხებთ?

— განსაკუთრებული არაფერი. მიკრო ტრავმები აქვთ, ეს კი მოსამზადებელი პერიოდისთვის ჩვეულებრივი ამბავია.

— დაბოლოს, როგორ გგონიათ, რა შედეგს მიაღწევს საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე?

— გაგიმხელთ და გეტყვით, რომ ჩვენი ვარაუდებით რუმინეთის ნაკრებს ფინალში უნდა ვეთამაშოთ. რა თქმა უნდა, ჩვენ ჩემპიონობის ამბიცია გვაქვს. კიდევ, როგორც ქართველ მწვრთნელს, მინდა, რომ გზად რუსეთის ნაკრებს გადავეყაროთ და დავამარცხოთ.

— ესე იგი ფავორიტად რუმინეთის ნაკრებს მიიჩნევთ?

— ტრადიციულად რუმინეთის ნაკრები ძლიერი იქნება, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ ჩემპიონატზე ფავორიტობას საქართველოს ნაკრებიც იკისრებს.

**ზურაბ მიგრიაული**



საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები პოლონეთში გუშინ რაგბის კავშირიდან გააცილეს



# პირველი დღის ბროლიშვით ბრინჯაო

**ვარშავაში** ძიუდოისტთა ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონატის პირველი დღის ორთაბრძოლები გაიმართა. პოლონურ ტურნირზე საქართველოს ნაკრები ვაჟებში სრული შემადგენლობით გამოდის.

პირველ დღეს ქართველთა მონაგარი მხოლოდ ერთი ბრინჯაოს მედალია, რომელიც 55 კგ წონით კატეგორიაში გიორგი ბროლაშვილმა მოიპოვა.

ბროლაშვილმა ჯგუფში ჯერ ავსტრიელ მატიას ჰაიმერს მოუგო, შემდეგ რუმინელ კოზმინ ლაზარეანს. ჯგუფიდან გასასვლელ შეხვედრაში კი წააგო უკრაინის სახელით მოჭიდავე სურენ მკრტიჩიანთან. ბროლაშვილმა რეპეშაჟში იპონით დაჯაბნა გერმანელი კრისტოფ კობერლინი და პოლონელი მარკინ ვებინსკი. მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი კი ვაზარით ლიტველ ანდრეი კლოკოვს გამოსტაცა ხელიდან.

60 კგ-ში პაატა მერებაშვილმა ჯგუფში ფრანგ პიერ დიუარასთან დათმო ორთაბრძოლა. ჩვენებურმა ვერც რეპეშაჟში ივარგა ებრაელ იაკოვ აბეტბულთან და ტურნირს გამოეთიშა.

66 კგ-ში შეჯიბრების ფავორიტმა ზებედა რეხვიაშვილმა პირველივე შეხვედრა წააგო ფრანგ უგო ლეგრანდთან და დამამშვიდებელშიც ველარ გააგრძელა ასპარეზობა.

ამავე ტურნირზე ქალებში 48 კგ-ში ნათია ვეშაგური გამოდიოდა, ხოლო 52 კგ-ში მარიამ ტარუაშვილი. სამწუხაროდ ქართველი ქალები პირველივე წრეში დაემშვიდობნენ ტურნირს.

**ზურაბ მიგრიაული**

2008 წლის 15 ოქტომბერს, 12 საათზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ტარდება საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება დილის 11 საათზე.

პრეზიდენტობის კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2008 წლის 10 ოქტომბერი.

la vuelta'08

63-ე ლა ვუელტა ესპანა. 30 აგვისტო — 21 სექტემბერი

# ვალვერდეს ისევ ხელი მოეცარა



**ალეხანდრო ვალვერდესთვის** ეს ვუელტაც უშედეგოდ გადაგორდება. უნიჭიერეს ესპანელ მრბოლს კვლავ ხელი მოეცარა.

11 სექტემბერს ბურგოსსა და სუანჩესს შორის 186 კილომეტრზე გაწოლილი მე-12 ეტაპი თითქოს ხიფათს არავის უქადდა. გზის მეორე ნახევარზე არ იყო რაიმე დიდი მთა, მაგრამ ამის მიუხედავად უსწორმასწორო რელიეფი გვარიანად აბნევდა მრბოლებს და ერთი შეხედვით ამ რიგით ეტაპზე უმზადებდა ბოროტ ფანდს.

ყველაფერი ორმაგად გაართულა თქეშად მოსულმა წვიმამ. ხილვადობა გაუარესდა და სიტუაციის სწორი ანალიზი გაძნელდა. წესით, პელოტონი მშვიდად უნდა მიგორებულიყო ფინიშამდე, თუმც ამ წვიმამ ჯგრო რამდენიმე ჯგუფად დაყო და ვალვერდე ერთ-ერთ უკანა ჯგუფში აღმოჩნდა — ალბათ მტკიცედ სწამდა პელოტონის ურღვევობისა და მის კუდში მშვიდად თვლემდა მორიგი „იოლი“ ეტაპის გადაგორების იმედით, ხოლო როცა აღმოჩნდა, რომ რამდენიმე ნაუცბათევად შეკრული მოწინავე ჯგუფი პელოტონს მოსწყდა და იგი უკან დარჩა, კი დაადგა ვალვერდემ პედლებს ფეხი, მაგრამ რაღა დროს.

მის კონკურენტებიდან ვინ თავიდანვე იგრძნო საფრთხე და წინ გაჭრილებს გაჰყვა, ვინ — მერე შეუერთდა მათ, ვალვერდემ კი ველაფერი გააწყო. გუნდის შეფებმა მის თანაგუნდელებს ვალვერდეზე მუშაობა უბრძანეს, მაგრამ ისინი ვერ აღმოჩნდნენ კონტადორის, ლეიფჰაიმერისა და სასტრეს დამხმარეებივით ყოჩაღები და იმის მაგივრად, რომ თავიანთი ლიდერი გაექაჩათ, პირიქით, კუდში ჩაუსხდნენ და უილაჯოდ მიჰყვებოდნენ უკან.

და რა გამოვიდა? საბოლოო ჩათვლის ყველა მოწინავემ კარგი ადგილით დაასრულა ეს კონკრეტული ეტაპი, ვალვერდემ კი ფინიშთან სამნახევარწუთიანი ჩამორჩენით მივიდა და გენერალურში 4 წუთზე მეტით ჩამორჩა ლიდერებს, რითაც მანამდე კომფორტულ მეოთხე ადგილზე მყოფი ახლა უიმედო მე-11-მდე დაქვეითდა და დიდ ბრძოლას გამოეთიშა.

რაც შეეხება კონკრეტულად ამ ეტაპს, გამარჯვება იტალიელ პაოლო ბეტინის ერგო, ვინც საფინიშო სპურტში სულ დარჩეულ ბიჭებს აჯობა და მძლავრი სპრინტერის სტატუსი გაიმყარა.

**ირაკლი ფირაშვილი**

**მე-12 ეტაპი. ბურგოსი — სუანჩესი. 186 კმ**

| | |
|---|---|
| 1. პაოლო ბეტინი (იტალია, „ქუიქ სტეპი“) | 4 სთ 42 წთ 44 წმ |
| 2. დავიდე რებელინი (იტალია, „გეროლშტეინერი“) | +1 წმ |
| 3. დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე“) | |
| 4. ალესანდრო ბალანი (იტალია, „ლამპრე“) | |
| 5. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა“) | ყველას იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ეგოი მარტინესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი“) | 45 სთ 48 წთ 33 წმ |
| 2. ლევი ლეიფჰაიმერი (აშშ, ასტანა) | +11 წმ |
| 3. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა“) | +29 წმ |
| 4. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +1 წთ 38 წმ |
| 5. ეზეკილ მოსკერა (ესპანეთი, „ხასობეო გალისია“) | +2 წთ 10 წმ |



## ფლოიდ ლენდისი: დაბრუნებას გაუმარჯოს!

**გადამდგარი** ჩემპიონის ლენს არმსტრონგის განცხადებამ — 2009 წლის ტურ დე ფრანსისთვის ველორბოლას დავუბრუნდებიო — კიდევ ერთ ყოფილ მრბოლს გადაუტრიალა გონება. დიდ მარყუჟში ჩამბმაზე სერიოზულად დაფიქრდა არმსტრონგის მემკვიდრედ მიჩნეული და მისი წასვლის შემდგომ წელს, ანუ 2006-ში, ტურ დე ფრანსის მომგები ფლოიდ ლენდისი.

ოღონდ ამ ორი ამერიკელის შემთხვევა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულია. არმსტრონგმა ზედიზედ შვიდჯერ მოიგო უპრესტიჟულესი ველოტური და დამსახურებულ პენსიაზე გავიდა 2005 წელს, ლენდისმა კი თითქმის მოიგო, უფრო ზუსტად რომ გავიხსენოთ, მოგება არ დასცალდა, სისხლში აკრძალული ჰორმონალური ნივთიერება ტესტოსტერონი აღმოუჩინეს და ჯერაც ცხელ-ცხელი ჩემპიონის წოდების ჩამორთმევასთან ერთად დოპინგის ხმარებისთვის ორწლიანი დისკვალიფიკაციაც მიუსაჯეს.

ლენდისმა ყველა დონეზე გაასაჩივრა, თუმც ყველგან დიდ წინააღმდეგობას შეეჯახა, რის შემდეგაც ისღა დარჩენოდა, ველოსპორტიდან წასვლა გამოეცხადებინა. მაგრამ აი ორი წელი გავიდა და მით უმეტეს არმსტრონგის შემხედვარე ისიც დაფიქრდა დაბრუნებაზე.



Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

# ზესწრაფი მონცა

**წლევანდელი** საპირველფორმულო კალენდრის შემდგენლებმა „სამეფო რბოლების“ გურმანებისთვის ჩაროზად სექტემბრის პირველი ნახევარი დათქვეს — როგორი ამბავია, ერთი კვირის ინტერვალში მიყოლებით ორი ლეგენდარული რბოლის ხილვა — 7 სექტემბერს ბელგიის დიდი პრიზი იყო და ამ უქმეებზე კი მონცას „აუტოდრომე ნაციონალე“ იტალიის დიდ პრიზს უმასპინძლებს.

ზოგადად, იტალიის დიდი პრიზი გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან თამაშდება, ხოლო როდესაც ფორმულა 1-ის სამყარო გაჩნდა, მონცა ამ სამყაროს განუყოფელ ნაწილად იქცა.

მონცაში პირველი საპირველფორმულო შეჯიბრი, ისევე როგორც ბელგიაში, იტალიელმა ასმა ალბერტო ასკარიმ მოიგო და შემდეგ კიდევ ორი ტრიუმფი გადაიხადა მშობლიურ ტრასაზე. 1953-55 წლებში მონცაში ზედიზედ სამჯერ იპირველა დიადმა არგენტინელმა ხუან მანუელ ფანხიომ და შემდეგი ოთხიდან სამი რბოლა კი (1956-57, 1959) ინგლისელმა სტირლინგ მოსმა მოიგო.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, კერძოდ კი, 1973-74 და 1976 წლებში იტალიური დიდი პრიზი სამჯერ შვედმა რონი პატერსონმაც მოიგო. „აუტოდრომე ნაციონალეზე“ სამ-სამი ტრიუმფი აქვთ გადახდილი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს, ბრაზილიელ ნელსონ პიკეს ((1983, 1986-87) და ფრანგ „პროფესორს“, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ ალენ პროსტს (1981, 1985, 1989).

აბსოლუტური რეკორდსმენი კი, რაღა გასაკვირია და მიხაელ შუმახერია, რომელიც ორი საუკუნის მიჯნაზე თითქმის ყველაფერს იგებდა. მონცას უსწრაფეს ტრასაზე „წითელმა ბარონმა“ ხუთჯერ (1996, 1998, 2000, 2003, 2006) იპირველა.

დღეს მოქმედი მრბოლებიდან „აუტოდრომე ნაციონალეზე“ მხოლოდ ორს უმარჯვია — 2002 და 2004 წლებში იმ დროს „ფერარით“ მოჯირითე ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო იყო საუკეთესო, ხოლო შარშან ფერნანდო ალონსოს „მაკლარენი“ იყო ყველაზე სწრაფი.

აღსანიშნავია, რომ 1984 წლიდან მოყოლებული, ანუ ბოლო 24 რბოლაა, იტალიის დიდ პრიზს, როგორც წესი, სამი დიდი გუნდის მრბოლები ინაწილებენ — „ფერარის“, „მაკლარენისა“ და „უილიამსის“. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ორი გამონაკლისი იყო, როდესაც 1995 წელს ჯონი ჰერბერტმა „ბენეტონით“, ხოლო 1999 წელს ჰაინც-ჰარალდ ფრენცენმა „ჯორდანით“ იპირველეს. თავად დიდ სამეულში კი ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ასეთი თანაფარდობაა — „მაკლარენმა“ და „ფერარიმ“ 8-8 რბოლა მოიგეს, უილიამსმა“ — 6.

სერ ფრენკ უილიამსის საჯინიბოს პილოტებს წლეულს შანსი არ აქვთ და ამ ჯერზეც „მაკლარენისა“ და „ფერარის“ დუელს ველით. ძნელი სავარაუდოა, ამ, მართლაც რომ ზესწრაფ ტრასაზე სხვა გუნდების მრბოლებმა მოახერხონ ფავორიტთა დავაში ჩარევა.

**კახა ლომაძე**

Formula 1

მეთოთხმეტე ეტაპი — იტალიის დიდი პრიზი

**აუტოდრომე ნაციონალე**

*მონცა, 14 სექტემბერი*




**ტრასის სიგრძე** ---------- 5.793 კმ

**რბოლის დისტანცია** ---------- 53 წრე — 306.720 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16-00 საათზე*

**შარშანდელი შედეგები**

1. ალონსო (მაკლარენი); 2. ჰემილტონი (მაკლარენი); 3. რაიკონენი (ფერარი); 4. ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი); 5. კუბიცა (BMW-ზაუბერი); 6. როსბერგი (უილიამსი); 7. კოვალაინენი (რენო); 8. ბატონი (ჰონდა)

**წრის რეკორდი:** 2004 — ბარიკელო (ფერარი) 1:21.046

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კოკა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ კორკელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიოვა, ლიანა ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge